140
1962/2

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პიონერი

10 ოქტომბერი 1962



ეროვნული
ბიბლიოთეკა



1862



1962

140
1962/2



საქართველოს
ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და
ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი ს სახელობის
ნორჩ პიონერთა ორგანიზაციის
რესპუბლიკური საბჭოს
ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი

გამოცემის
XXXVI
წელი

## შ ი ნ ა ა რ ს ი


| | გვ. |
|---|---|
| შალვა აფხაიძე—დიდი ჰუმანისტი მწერალი (წერილი) | 2 |
| გურამ ბახტაძე—სტარტი აღებულია (ფოტონარკვევი) | 6 |
| გიორგი ლეონიძე—თქვენ ხართ ერის სიჭაბუკე! (ლექსი) | 8 |
| როლამ ჩაჩანიძე—ბანაკი ულვირზე (ნარკვევი) | 8 |
| მირონ ხერგიანი—მეგობრობა გრძელდება (ნარკვევი) | 11 |
| ზურაბ კუხიანიძე—ბალადა სვანურ ქუდზე | 12 |
| გრიგოლ მარგიანი—უკვდავი დიდება (წერილი) | 14 |
| აკაკი ართილაყვა—ჭონქა (მოთხრობა) | 18 |
| გოგუცა კუპრაშვილი—დიდი წარმატება (წერილი) | 20 |
| რიმა ლეჟავა—მზიურას სალამური (პიესა) | 21 |
| ამირან ჩხარტიშვილი—უფლისციხე (წერილი) | 24 |
| იუმორი | 24 |
| მარტი ლარნი—ბიჭი (მოთხრობა) | 26 |
| იცი თუ არა, რომ | 28 |
| როსტომ ელანიძე—გაყინული თევზები (წერილი) | 29 |
| მსროლელი მცენარე | 29 |
| შალვა ცხადაძე—მესამე კაცი (ზღაპარი) | 30 |
| გაბრიელ ჯაბუშანური—მეზობლები (ლექსი) | 31 |
| მოკლედ ყველაფერზე | 32 |
| თავისუფალ დროს (გარეკანის) | 3 |


გარეკანის პირველ გვერდზე—„მთიდან დაბრუნება“, ნახ. ზ. ფორჩხიძისა.

ჟურნალი დასურათებულია მხატვრების: თ. ხამხონაძის, რ. თორდიას, ი. კარაჩენცოვის და შ. ცხადაძის მიერ.

8707

რედაქტორი რევაზ მარგიანი
სარედაქციო კოლეგია:
რ. ელანიძე, რ. ინანიშვილი, ჟ. კვარაცხელია,
მ. ლებანიძე (პ/მგ. მდივანი), მარიჯანი,
გ. ფოცხიშვილი (სამხატვრო რედ.), რ. ქორქია,
ე. ყიფიანი, ა. შენგელია, რ. ცუცქირიძე

# პიონერი

10 ოქტომბერი 1962

საქ. სსრ სახ. სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკა * თბილისი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# დიდი ჰუმანისტი მწერალი

შალვა აფხაიძე

მიმდინარე წლის სექტემბერში შესრულდა გამოჩენილი ქართველი მწერლის, მხატვრული სიტყვის ჭეშმარიტი ოსტატის, დავით კლდიაშვილის დაბადების ასი წელი. დავით კლდიაშვილს თვალსაჩინო ადგილი უკავია ქართული პროზის განვითარებაში. იგი მიეკუთვნება მწერალთა იმ ბრწყინვალე პლეადას, რომელმაც უდიდესი როლი შეასრულა ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების ასახვაში, ამ საზოგადოების გათვიცნობიერების საქმეში დავით კლდიაშვილმა, განაგრძო რა მესამოციანელთა ტრადიცია, ამასთანვე ქართული ლიტერატურა გაამდიდრა ახალი თემატიკით, მხატვრული ტილოების საშუალებით მკითხველებს გააცნო, ცოცხლად წარმოსახა ის სოციალური ძვრები და ურთიერთობანი, რომელიც იმდროინდელ ცხოვრებას ახასიათებდა. მან შექმნა ისეთი ნაწარმოებები, რომლებიც ყოველთვის დაამშვენებენ მშობლიურ ლიტერატურას. ყოველთვის უკვდავნი იქნებიან მის მიერ შექმნილი მხატვრული სახეები, იმდენად სისხლხორცით სავსენი არიან ისინი. დავით კლდიაშვილი შესანიშნავად იცნობდა სოფელს, გაღატაკებულ აზნაურთა ცხოვრებას, ყოფას, რომლის შეუდარებელ აღმწერად ის ითვლება. დავით კლდიაშვილი თავის ნაწარმოებებში მკითხველს ევლინება როგორც ჭეშმარიტი ჰუმანისტი, კაცთმოყვარე მწერალი.

გავრცელებული იყო შეხედულება, თითქოს დავით კლდიაშვილი დასცინოდეს გმირებს, რომლებიც ასე ცოცხლად ყავს დახატული მას თავის ნაწარმოებებში. ამის გამო, აი, რა განაცხადა დავით კლდიაშვილმა იუბილეზე, რომელიც ქართველმა ხალხმა მას 1930 წელს გადაუხადა.

„— არა, მეგობრებო, მე აზრად არ მქონდა ვინმესთვის დამეცინა, ვინმე დამემცირებინა... მე ვხედავდი ცხოვრებისაგან გაუბედურებულ ადამიანებს, მაწუხებდა მათი მდგომარეობა და ვწერდი, რასაც ვხედავდი და განვიცდიდი“.

მართლაც, დავით კლდიაშვილი, როგორც რეალისტი მწერალი, მტკიცედ დგას ცხოვრების ნიადაგზე, არსებული სინამდვილის ტკივილებს ნათლად ხედავს და წერს იმაზე, რაც მის მოსიყვარულე გულს აშფოთებს, აწუხებს. წერს იმ ხალხზე, რომლის სულისკვეთებასაც, სულიერ სამყაროსაც ის კარგად იცნობდა. ესენი იყვნენ წვრილი აზნაურები: სოლომან მორბელაძეები, პლატონ სამანიშვილები, ოტია ქამუშაძეები და ძმანი მათნი, რომლებსაც აღარაფერი ჰქონდათ შემორჩენილი ძველი მდგომარეობიდან, გარდა კუდაბზიკობისა და წოდებრივი ყოყოჩობისა. ამ ადამიანებს შორის ცხოვრობდა დავით კლდიაშვილი, აკვირდებოდა მათი ყოფის წვრილმანებს, მათ სულიერ შეზღუდულობას, მატერიალურ სიდუხჭირეს, რაც ახალი ვითარებით იყო გამოწვეული, და შექმნა კიდევაც დასრულებული ტიპიური სახეები დაქვეითების გზაზე დამდგარ წვრილფეხა აზნაურებისა. შექმნა მაღალმხატვრული შედევრები, რომლებშიც ნათლად არის ასახული ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების გარკვეული საფეხური.

დავით კლდიაშვილი დაიბადა 1862 წლის 29 აგვისტოს (ძველი სტილით) სოფელ სიმონეთში. თავისი ბავშვობა მან გაატარა აქ, გლეხებს შორის. ბავშვის სულიერ საზრდოს წარმოადგენდა ზღაპრები, ლეგა-არაკები, ხალხური თქმულებები, რაც ხშირად ესმოდა ხოლმე პატარა დავითს მშობლებთან მოსული მეზობლებისაგან. ჰყავდა საკმაოდ ნაკითხი დედა კესარია ღოღობერიძე, რომელმაც ცნობისმოყვარე ბავშვს წერა-კითხვა შეასწავლა. შვიდი წლისა ყოფილა, როცა მამამისს, სამსონ კლდიაშვილს ქუთაისში წაუყვანია და იქ მიუბარებია სასწავლებელში. აქ წაუკითხავს პირველად პატარა მოწაფეს ილია ჭავჭავაძის „კაკო ყაჩაღი“, რასაც ბავშვზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოუხდენია. 1872 წელს კი მამამისს დავითი მიუბარებია კიევის სამხედრო სასწავლებელ-



-ში. ბავშვებს ფორმა ჰქონდათ მხოლოდ სამხედრო, საგნებს კი ისინი გიმნაზიის პროგრამით გადიოდნენ. კიევის სამხედრო სასწავლებელში ყოფნისას სამშობლოს მოწყვეტილ დავითს მშობლიური ენა დავიწყებია ისე რომ, როცა არდადეგებზე დაბრუნებულა სოფელში, მშობლებთან და მეზობლებთან თარჯიმანის საშუალებით მოუხდა თურმე ლაპარაკი. კიევში დავითი დაუკავშირდა ქართველ სტუდენტებს — ნიკო ლომოურს, ივანე გაფრინდაშვილს და სხვებს. აქვე დაუახლოვდა იგი რუს მოწინავე ახალგაზრდობას; აქ გაეცნო იგი დიდი რუსი დემოკრატების მოძღვრებას, უშუალოდ ჩაება სტუდენტების რევოლუციურ მოძრაობაში.

1880 წელს დავით კლდიაშვილმა პირველი ხარისხით დაასრულა კიევის სამხედრო გიმნაზია, რის შემდეგაც იგი გადავიდა მოსკოვის სამხედრო სასწავლებელში. ეს უკანასკნელი მან დაასრულა 1882 წელს და შემდეგ განაწესეს სამხედრო სამსახურში ბათუმში. ამ ქალაქის ზრდა-განვითარება დავითის თვალწინ ხდებოდა. სამხედრო სამსახურში ყოფნისას დავითი კარგად იყენებდა მდგომარეობას და, საზოგადოებრივ მუშაობაში ჩაბმული, ხელს უწყობდა ყოველ ახალ წამოწყებას, რაც კი ხალხის კეთილდღეობასთან იყო დაკავშირებული. შეიძლება ითქვას, დავითი გაცილებით მეტ დროს უთმობდა საზოგადოებრივ საქმიანობას, ვიდრე თავის სამსახურს ჯარში. იგი უშუალოდ დაუკავშირდა და მონაწილეობას იღებდა ყველა საზოგადოებრივ ორგანიზაციაში, რაც მაშინ ბათუმში არსებობდა. იგი მტკიცედ და გაბედულად იცავდა ქართველი ხალხის ეროვნულ ინტერესებს, მის სახელსა და ღირსებას. ცნობილია ერთი ეპიზოდი დავით კლდიაშვილის ბიოგრაფიიდან, რომელიც ასე კარგად ახასიათებს დავითის ცხოვრებას, მის მოქალაქეობრივ თვისებებს.

ბათუმში გამოდიოდა გაზეთი „ჩერნომორსკი ვესტნიკი“, სადაც შავრაზმელები იყვნენ მოკალათებულნი. გაზეთის რედაქტორი იყო რეაქციონერი ვინმე პალმი, რომელმაც ქართველების შეურაცხმყოფელი წერილი გამოაქვეყნა. დავითმა ვერ მოითმინა თავისი ხალხის აბუჩად აგდება, პალმს საკადრისი პასუხი გასცა და დუელშიც გამოიწვია. დამფრთხალი პალმი იძულებული გახდა დავითის წინაშე ბოდიში მოეხადა.

დავით კლდიაშვილის ბათუმში ყოფნა დაემთხვა ამ ქალაქში მუშათა მოძრაობის ზრდასა და განვითარებას. ცნობილია ისიც, თუ რა როლი შეასრულა დავითმა ამ მოძრაობაში. მთელი მისი სიმპათიები მუშების მხარეზე იყო. ისეც ხდებოდა, რომ დავითი იარაღითაც კი ამარაგებდა მუშებს. ბათუმის მუშათა მოძრაობიდან ვიცით, რომ 1902 წელს იქ მოხდა მუშათა დემონსტრაციები, რასაც რეპრესიები მოჰყვა: მოწინავე მუშები დააპატიმრეს და ყაზარმებში ჩაყარეს. რეპრესიამ მუშებში დიდი აღშფოთება გამოიწვია. დარაზმულმა მუშებმა დაპატიმრებულთა გათავისუფლება მოითხოვეს. გამოყვანილ იქნა ჯარი. დავითმა თავის ნაწილს უბრძანა არ ესროლა მუშებისათვის. ბათუმის ხელისუფალთა ეს საზიზღარი ბრძანება სისრულეში მოიყვანა ჯარის სხვა ნაწილმა, რომელსაც ვინმე ოფიცერი ანთაძე ხელმძღვანელობდა. დავით კლდიაშვილის საზოგადოებრივი საქმიანობის ხასიათი არ დარჩა შეუმჩნეველი ბათუმის გარნიზონის უფროს, სამხედრო პერსონალს და გუბერნატორს. მას უკვე ეჭვის თვალით უყურებდნენ. დავითიც კარგად გრძნობდა, რომ ჯარში სამსახური მისთვის აუტანელი იყო. აი, რას წერს იგი თავის მოგონებაში ბათუმის მუშათა დახვრეტის შესახებ: „გარეტიანებული დავდიოდი. მოჩლუნგებული გონება აღარ მუშაობდა. რა მინდოდა მე ჯარის რიგებში? რატომ ვხდები მოწმე ამგვარი საშინელებისა, ამ საზიზღრობისა! ო, რა ტანჯვა იყო!“ ამ ტანჯვამ, ამ გულისტკივილმა დავითი კიდევაც მოტეხა ფიზიკურად და ითხოვა გათავისუფლებული ყოფილიყო ჯარში სამსახურიდან, რაც კიდევაც დააკმაყოფილა მეფის ნაცვალმა ვორონცოვ-დაშკოვმა. ბათუმში დავითმა 26 წელი დაყო.

1908 წელს დავითი გადმოვიდა ქუთაისში. აქ მან მუშაობა დაიწყო ჯერ ქალაქის თვითმმართველობაში, ხოლო შემდეგ შავი ქვის მრეწველთა საბჭოში. არც ქუთაისში დაკმაყოფილებულა დავითი თავისი სამსახურით: იგი მთელ თავის ენერგიას ახმარდა საზოგადოებრივ მუშაობას და აქტიურად მონაწილეობდა სახალხო უნივერსიტეტის საქმიანობაში, იყო ერთ-ერთი მოჭირნახულე და მოამაგე თეატრისა და სხვ. მისი ასეთი გაცხოველებული მუშაობა შეწყდა 1914 წელს, როცა ისევ გაწვეულ იქნა ჯარში ახლად დაწყებულ მსოფლიო იმპერიალისტურ ომთან დაკავშირებით. იყო ოსმალეთის ფრონტზე. ცნობილია ისიც, თუ რა უშუალო კავშირი ჰქონდა დამყარებული ლაზებთან, რა მზრუნველობას იჩენდა მათ მიმართ და როგორ პატივს სცემდნენ მას. ომის დამთავრების შემდეგ დავითი კარგა ხანს ისევ ქუთაისში ცხოვრობდა, შემდეგ კი დაუბრუნდა თავის საყვარელ სოფელს — სიმონეთს. ხანგამოშვებით ჩამოდიოდა თბილისში თავის შვილებთან. 1930 წლის ივნისში ქართველმა ხალხმა მას გადაუხადა იუბილე, რომელიც დიდი ზეიმით ჩატარდა ოპერისა



და ბალეტის თეატრში. დავით კლდიაშვილს მთავრობამ პირველს მიანიჭა სახალხო მწერლის საპატიო წოდება. განვლილმა მშფოთვარე და დაძაბულმა ცხოვრებამ დავითი ადრე დაასუსტა ფიზიკურად. იუბილეს შემდეგ დავითს დიდხანს არ უცოცხლია, იგი გარდაიცვალა 1931 წ. 24 აპრილს, მშობლიურ სოფელ სიმონეთში, საიდანაც გადმოასვენეს თბილისში და დაკრძალეს მთაწმინდაზე, ქართველ მწერალთა პანთეონში.

დავით კლდიაშვილმა სახელოვანი გზა განვლო როგორც საზოგადო მოღვაწემ, დიდმა მოქალაქემ, მგზნებარე პატრიოტმა, მშობლიური ხალხის ინტერესების სადარაჯოზე მდგომმა. მაგრამ დავითის სახელი უკვდავყვეს, უწინარეს ყოვლისა, იმ მხატვრულმა შედევრებმა, რომლებმაც ქართული ლიტერატურა წინ წასწიეს, განავითარეს და გაამდიდრეს.

დავით კლდიაშვილმა თავისი ლიტერატურული მოღვაწეობა დაიწყო ბათუმში ყოფნისას. იგი თანამშრომლობდა ჟურნალ-გაზეთებში და ათავსებდა როგორც კორესპონდენციებს, ისე თავის მოთხრობებს. პირველი მისი მოთხრობა იყო „შერისხვა", რომელიც დაიბეჭდა ჟურნალ „მოამბეში" 1893 წელს. უნდა აღინიშნოს, რომ 1893—1896 წლები ყველაზე უფრო ნაყოფიერი იყო დავითის შემოქმედებაში. სამი წლის მანძილზე დავითმა შექმნა თავისი საუკეთესო მოთხრობები, როგორიცაა: „შერისხვა", „მსხვერპლი", „წრფელი გული", „სოლომან მორბელაძე" და „სამანიშვილის დედინაცვალი". ყველა ეს მოთხრობა დაიბეჭდა ჟურნალ „მოამბეში". მოთხრობებმა ერთბაშად გაუთქვეს სახელი დავით კლდიაშვილს, როგორც სიტყვის ოსტატს, შესანიშნავ შემოქმედს, მწერალს, რომლის მასწავლებელიც იყო თვითონ ცხოვრება.

თავისი გმირების პროტოტიპებს, შემოდგომის აზნაურებს, დავითი ხედავდა მაშინდელ სინამდვილეში. დავით კლდიაშვილის შემოქმედებაში მეტად დიდი როლი შეასრულა მისი სიმამრის პავლე მაჭავარიანის საკმაოდ შეძლებულმა ოჯახმა, სადაც თავს იყრიდნენ მეზობლები და უამრავი ნაცნობობა. „ვის არ ნახავდი აქ, რას არ გაიგონებდი!, — წერს დავითი თავის მემუარებში, — ცხოვრების გასაცნობად საკმარისი იყო აქ მოვქცეულიყავით რამდენიმე ხანს!" „აქ ჩემთვის ნამდვილი აკადემია იყო", — ხშირად უთქვამს ხოლმე დავითს თავის შვილის, ცნობილ მწერალ სერგოსათვის. მართლაც, დავითის მოთხრობებს საფუძვლად უდევს მაშინდელი სინამდვილე, ავტორი იყენებდა ცხოვრებაში მომხდარ ამბებს. თავის შემოქმედებით ლაბორატორიაში ეს ამბები და შეხვედრილ ადამიანთა სახეები მხატვრულ განზოგადოებამდე აყავდა, დაუვიწყარ ტიპებად აქცევდა. მაგალითად „სამანიშვილის დედინაცვალს" სახეცვლილი ამბავი უდევს საფუძვლად. სინამდვილეში არსებობდა ბეკინას პროტოტიპი.

მოთხრობა „მსხვერპლის" ერთ-ერთი გმირის ვასილის პროტოტიპი იყო გლეხი ოყვანა სირბილაძე, რომელიც გლეხებს უყვებოდა თურმე თავის „საიქიოში ყოფნის" ამბავს. ეს ამბავი დავითს თითქმის უცვლელად აქვს შეტანილი თავის მოთხრობაში.

დავით კლდიაშვილმა რეალისტური მანერა წერისა გამოამჟღავნა თავის პირველსავე მოთხრობაში „შერისხვა", რომელშიც აშკარა გახადა ის გამანადგურებელი გავლენა, რასაც ადამიანზე კერძო საკუთრების ტრფიალი ახდენს.

სოფლის ცხოვრების ბნელი სურათი დახატა დავითმა თავის მეორე მოთხრობაში „მსხვერპლი". სურათი მეტად მუქი გამოვიდა, იმდენად მუქი, რომ ამხანაგებმა უსაყვედურეს კიდეც: ნუთუ ასეთი ჩამორჩენილია ჩვენი სოფელიო. დავითი გრძნობდა თავისი მოთხრობის სიმართლეს და იგი შეუსწორებელი დატოვა. დავითმა მკითხველი საზოგადოება შეიყვანა იმ „ბნელ სამეფოში", სადაც კაცია სადუნაშვილები და ფეფინები ცხოვრობდნენ, სადაც წამდათ კუდიანობა, ხატზე-გადაცემის ძალა და ბნელი ინსტიქტები ძალაში იყო. მაგრამ, საოცარია, დავით კლდიაშვილი ამ მკაცრ, ჩამორჩენილ, გულქვა ადამიანებსაც ჰუმანიზმის პოზიციებიდან უდგება და ისე აფასებს მათ ქცევას. ამ ადამიანთა დაქვეითებისა და გაბოროტების მიზეზს ეძებს არა მათ ხასიათებში, არამედ ობიექტურ პირობებში, სინამდვილეში, რომელშიც მათ უხდებოდათ ცხოვრება. ფეფენას ღრმად წამს, რომ „აზნოურიშვილს გარყვნილების მეტი რა ახსოვს?" ამიტომ უფრთხილდება იგი თავის რძალს, თითქოს მისი ნამუსის სადარაჯოზე დგას. სინამდვილეში კი თავისი ქცევით, მოპყრობით, ბოლოს მას სიკვდილის სარეცელზე დებს.

მაგრამ დავით კლდიაშვილის დიდმა მხატვრულმა შესაძლებლობამ, მისმა მხატვრული განზოგადოების უნარჩა და ძალამ თავი იჩინა [illegible] აღნიშნულ მოთხრობაში, [illegible] „სოლომან მორბელაძეში", რომელიც არა მხოლოდ დავითის, არამედ საერთოდ ქართული მწერლობის ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს. სოლომან მორბელაძეს გამოცლილი აქვს მატერიალური საფუძველი, აღარ გააჩნია მიწა-წყალი. ამის მიზეზი იყო სოფლად სავაჭრო კაპიტალის შეჭრა. სოლომანი დაბნეულია, ცხოვრებას მოწყვეტილი ადამიანია. მას არ შეუძლია ჩაებას პატიოსანი შრომის ფერხულში. თავად-აზნაურობის ცხოვრების შინაარსი საფუძვლიანად შეიცვალა, მისი ცხოვრების გარეგნული ფორმა კი უცვლელი დარჩა. თავად-აზნაურობას აღარაფერი გააჩნდა, წოდებრივი კუდაბზიკობა კი უცვლელი დარჩა. ასეთი გათიშვა შინაარსსა და ფორმას შორის წვრილ აზნაურობას კომიკურ, სასაცილო მდგომარეობაში აყენებდა. კომიკურ სიტუაციაში აყენებს თავის კუჭგამომხმარ გმირებს დავით კლდიაშვილი. ამ მიზნის მისაღწევად მწერალი მიმართავს სატირას, ჰუმორს. მაგრამ მისი ჰუმორი მოკლებულია გესლს, შხამს. ეს ჰუმორი უფრო სევდით არის გაჟღენთილი. მწერალს ებრალება საერთოდ ადამიანი (და არა აზნაური), რომელსაც ვერ აუღია ალღო ცხოვრებისათვის, დაკარგვია უნარი მისცეოს ჩას კვალდაკვალ და მისთვის შეუფერებელი საქმიანობით უნდა გაიტანოს ცხოვრების ღელო. ასეთნი არიან მისი ნაწარმოებების გმირები. ასეთია სოლომან მორბელაძე, რომელსაც საარსებო საშუალებები აღარ გააჩნია და სურს მაჭანკლობით ირჩინოს თავი. არაფერი გააჩნია, მაგრამ წოდებრივ ტრაბახს მაინც ვერ გადაჩვევია. „ისე დაგლახაკავებული კი არა ვარ, ზოგიერთი აზნაურიშვილი რომ ვინახავს," — ეუბნება იგი მევალეს, ნამდვილად კი მას ყურგახვრეტილი კაპიკიც არ გააჩნია. ვალი ვერ გაისტუმრა იმიტომ, რომ მოატყუეს, სამშვლო არ მისცეს, თვითონაც მოტყუებული აღმოჩნდა. შეიძლება ითქვას, მისი მდგომარეობა სასაცილო კი არა, არსებითად ტრაგიკულია.

ვის მაჭანკლობით უნდა იოლად გავიდეს ფონს, ვინ კიდევ სოფლის იოლ პროფესიას, ვექილობას ჰკიდებს ხელს. ვინ თავის გონებამახვილობას იყენებს ფარად და წვეულებებში ატარებს თავის გაძალლებულ ცხოვრებას, ვინ მართლაც სასაცილო მდგომარეობაში ვარდება იმიტომ, რომ უნდა თავის შთამომავლობა უზ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუნველყოს მატერიალურად. ასეთია პლატონ სამანიშვილი — გმირი ამავე სახელწოდების მოთხრობისა. ეს არის იშვიათი ოსტატობით დაწერილი მოთხრობა, ერთ-ერთი შედევრი ქართული პროზისა. ეს მოთხრობა მეტად პოპულარულია. ყველას აქვს წაკითხული. პლატონი შეშფოთდა, როცა მამამისმა ბეკინამ გადაწყვიტა ცოლის შერთვა. რატომ? იმიტომ, რომ ის ხელმოკლე აზნაურია. ეშინია, ვაი, თუ დედინაცვალს შვილი ეყოლოს და მოზიარე გაუჩნდეს. მის სასაცილო მდგომარეობას მატერიალური სიდუხჭირე უდევს საფუძვლად. ამიტომ მიიღებს გადაწყვეტილებას: თვითონ ეძიოს სადედინაცვლო. ფიქრობს მონახოს ორჯერ დაქვრივებული ისეთი ქალი, რომელსაც შვილი არ გაჩენია. მონახავს კიდეც. მაგრამ, ვაი, პლატონის მდგომარეობას: მოხუც მამასა და უშვილო დედინაცვალს შვილი გაუჩნდება. პლატონი ტრაგიკულ მდგომარეობაში ჩავარდა. ავტორს გული ეწვის, ებრალება ასეთ მდგომარეობაში მყოფი ადამიანი.

დავით კლდიაშვილი ამ მოთხრობაში შესანიშნავ ხერხს მიმართავს: სადედინაცვლოს ძიებისას ავტორი მას სხვადასხვა ოჯახში შეიყვანს, სხვადასხვა სიტუაციაში ჩააყენებს. ამით იგი მკითხველს ზედმიწევნით აცნობს ხელმოკლე აზნაურების ცხოვრებას, ყოფას, მათ წეს-ადათებს, ჩვეულებებს. მკითხველის წინაშე იშლება ამ ხალხის ცხოვრების დასრულებული, ცოცხალი სურათი.

რა შესანიშნავადაა აღწერილი თუნდაც სტუმრის შეპატიჟების სცენა მოთხრობაში „სოლომან მორბელაძე“. მან კარგად იცის, რომ სახლში არაფერი გააჩნია სტუმრის საკადრისი, მაგრამ მაინც ეპატიჟება იმ იმედით, რომ ამ მიპატიჟებას სტუმარი არ მიიღებს.

ასეთია ოტია ქამუშაძე, დარისპანი, რომელსაც ვერ გაუთხოვებია ქალიშვილი იმიტომ, რომ ღარიბია, გაღატაკებულია, არა აქვს შეძლება მზითევი მისცეს მას.

დავით კლდიაშვილმა შექმნა ადამიანთა სამყარო, სრულიად თავისებური, ახალი. მწერალმა ცოცხალი საღებავებით დახატა უკულმართობის მიზეზი, რომელმაც ადამიანში შეარყია კეთილშობილება, ზნეობრივი სიფაქიზე. დავით კლდიაშვილი არის სიუჟეტის განვითარების და დიალოგის ნამდვილი, ჭეშმარიტი ოსტატი. იგი დიალოგს იყენებს როგორც სიუჟეტის გაშლისა და გმირების ფსიქოლოგიური სურათის დასახატავად, მათი ხასიათის გამოსავლინებლად. ყოველი ახალი სიტუაცია, რომელშიაც გმირები ვარდებიან, მწერალს დიდი მხატვრული დამაჯერებლობით აქვს შემზადებული. დავითმა შესანიშნავად იცის თავისი გმირების სასაუბრო ენა და მას მშვენივრადაც იყენებს.

დავით კლდიაშვილს მოცულობით ვრცელი მემკვიდრეობა არ დაუტოვებია, მაგრამ რაც შექმნა, ყველაფერი, როგორც იტყვიან, ქართული ლიტერატურის ოქროს ფონდში შევიდა.

არ შეიძლება ცალკე არ აღინიშნოს დავით კლდიაშვილის დამსახურება ქართული დრამატურგიის განვითარებაში. მის მადლიან კალამს ეკუთვნის „ირინეს ბედნიერება“ და [illegible] კომედია „დარისპანის გასაჭირი“, რომლის ბადალი ცოტა რამ შექმნილა ქართულ დრამატურგიაში.

თავისი სიცოცხლის მიწურულში დავით კლდიაშვილმა დაწერა მოგონებები, რომელშიც ცოცხლად აღადგინა ჩვენი ხალხის საზოგადოებრივი ცხოვრება დროის გარკვეულ მონაკვეთში. ამ ცხოვრების შესასწავლად დავითის მოგონებებს უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს.

დავით კლდიაშვილმა თავისი შემოქმედებით ქართულ ლიტერატურაში ღრმა, წარუშლელი კვალი დატოვა, მისი სახელი ყოველთვის უკვდავი იქნება ქართველი ხალხის გულში.



ილუსტრაცია მოთხრობისათვის „როსტომ მანველიძე“ —
ნახ. ზ. ფორჩხიძისა

ელექტრონული
ბიბლიოთეკა



# დაიწყო პიონერული რაზმების საკავშირო შეჯიბრება!

## სტარტი აღებულია

2 ოქტომბერს ჩვენი დიადი ქვეყნის ყოველ მხარეს საზეიმო ხაზზე დგანან რაზმეულები. ამ დღეს სტარტი მიეცა დიდ, საინტერესო შეჯიბრებას საუკეთესო რაზმის სახელის მოსაპოვებლად.

სტარტის დღეს ყველა რაზმმა აიღო ახალი შრომითი ვალდებულებანი და აი უკვე ახალი ძალით გაიშალა პიონერული საქმიანობა: იქმნება ინტერნაციონალური მეგობრობის, ხელოვნების მოყვარულთა, ნორჩ ტექნიკოსთა წრეები და კლუბები, პიონერული თეატრები. პიონერები შეუდგნენ ქალაქებისა და სოფლების პარტიული, კომკავშირული ორგანიზაციების ისტორიის შესწავლას, ადგენენ ალბომებს, მატიანეებს, მეგობრობას ამყარებენ კომუნისტური შრომის ბრიგადებთან და სხვა.

შეჯიბრების წამომწყებნი არიან „შვიდწლედის თანამგზავრი" რაზმები. ისინი იმისათვის იბრძვიან, რომ ყველა კეთილსინდისიერად სწავლობდეს, ყველა პიონერს მიეცეს მისი მოსაწონი საქმე... მთელი სასწავლო წელი გაგრძელდება ეს საინტერესო შეჯიბრება. 1963 წლის 19 მაისი კი რაზმების პატაკის დღეა. ყოველი რაზმი პატაკით გამოვა თავისი მიღწევების შესახებ. გამარჯვებულებს საუკეთესო რაზმის სახელი მიენიჭებათ. იბრძოლეთ ამ საპატიო სახელის მოსაპოვებლად.

პატარა ოქტომბრელები ლენინის კარავთან კითხულობენ წიგნს, დიდი ბელადის სახელოვანი ცხოვრების შესახებ.



საჯავახური ყურძენიც გემრიელია.



ეს დასპირტული პრეპარატები ბუნებისმეტყველების კაბინეტს გაამდიდრებენ.

ისინი ოცდაცხრანი არიან, კარგი მეგობრები და ამხანაგები — ერთი რაზმის პიონერები. საჯავახოს სკოლას თუ ეწვევით, მის დერეფნებსა და ოთახებში, ბაღსა და ვენახში ბევრჯერ გაიგონებთ მესამერაზმელთა ქებას.

აი, ეს აუზი, შიგ ოქროსფერი თევზები რომ დგაფუნობენ, მათი აგებულია. ეს თუთის სანერგე და ხეხილის ბაღიც მესამერაზმელთა თაოსნობითა და აქტიური შრომით არის შექმნილი.

ისინი პირველები ჩაებნენ სიმინდის უხვი მოსავლის მოყვანისათვის გაჩაღებულ საკავშირო შეჯიბრებაში და ახლა ჯილდოდ „არტეკში" გამგზავრების კანდიდატები არიან.

პიონერული მოქმედების ზონის რუკაზეც პირველი აღნიშვნა მესამერაზმე-

ლებმა გააკეთეს. მათ სოფლის საბჭოს ეზო ბაღნარად აქციეს და ახლაც გულდაგულ უვლიან ორას ხეს!

მესამერაზმელების ინიციატივით სკოლის ეზოში მოეწყო ვ. ი. ლენინის კუთხე — ილიჩის კარავი, სწორედ ისეთი, როგორშიც ცხოვრობდა დიდი ბელადი 1917 წლის ზაფხულში, რაზლივთან.

ილიჩის კარავი პიონერთა ყველაზე საყვარელი ადგილია. აქ წარმოსთქვამენ პიონერის საზეიმო დაპირებას ოქტომბრელები, აქ ეწყობა საზეიმო შეკრებები.

ახლაც, ორ ოქტომბერს ილიჩის კარავთან ჩამწკრივდა რაზმეული, აქ მიეცა სტარტი შეჯიბრებას საუკეთესო პიონერულ რაზმზე. ამ დღეს განა მარტო მესამერაზმელები ღელავდნენ. ღელავდა ყველა, აბა, ვის არ სურს საუკეთესო რაზმის სახელის მოპოება! მაგრამ ეს ადვილი როდია. ამისათვის ყველამ კარგად უნდა ისწავლოს.

მესამერაზმელები კარგა ხანია შვიდწლედის ორბიტზე არიან გასული. მთელი წელი ებრძოდნენ სიზარმაცეს, დაუდევრობას; პიონერული საგუშაგოებიც შექმნეს იმის შესამოწმებლად, თუ ვინ როგორ ასრულებდა დღის რეჟიმს. ერთხელ პიონერულმა რეიდმა გადმოსცა: მურად ტონია რეჟიმს არ იცავს, სასკოლო პროგრამას ჩამორჩა, თუ არ დავეხმარეთ, ორიანები ექნებაო.

შეწუხდნენ მეგობრები. ლიანა მსხრიკაძე და ნოშრევან შათირიშვილი რამდენიმე კვირა ყოველდღე გაკვეთილების შემდეგ სკოლაში რჩებოდნენ, ამხანაგს ამეცადინებდნენ. მალე მურადი გაკვეთილებზე უფრო აქტიური გახდა. ყველას უხაროდა. სულ ცოტა ხანში რაზმი „შვიდწლედის თანამგზავრი“ გახდა.

თავიანთი მეგობრების — კომუნისტური შრომის ბირგადის წევრების მსგავსად, მესამერაზმელებს არ სჩვევიათ თვითკმაყოფილება და დამშვიდება. სტარტის დღეს მათ გადაწყვიტეს დაეხმარონ მეოთხერაზმელებს ორბიტაზე გასვლაში.

ბავშვებმა ისიც იციან, რომ საუკეთესო რაზმის სახელის მოსაპოვებლად, საკავშირო შეჯიბრებაში გასამარჯვებლად ახალი თაოსნობისა და საზრიანობის გამოჩენა მართებთ. უკვე დაიბადა იდეა იშრომონ სიმინდის ახალი ჯიშის — „საჯავახოს პიონერულის“ გამოსაყვანად. უკვე რამდენიმე წელია, რაც ბუნების ნორჩი გარდამქმნელები „მინდვრის დედოფალს“ დაუმეგობრდნენ და უხვი მოსავლის ოსტატთა სახელიც მოიპოვეს. გულდასმით უვლიან ყანას: ნაზი კალანდაძე, ვანო დუდუჩავა, იამზე თარგამაძე, ზაირა მანაგაძე და სხვა ბიჭები და გოგონები. ახდენენ ხელოვნურ დამტვრიანებას; უკვირდებიან ლურჯმარცვლიან სიმინდს, ატარებენ ათასგვარ ცდას... ვინ იცის, იქნებ მართლაც გამარჯვებით დაგვირგვინდეს ბავშვების ჩანაფიქრი და საქართველოს მრავალ კუთხეს მოეფინოს მათი მარჯვენით გამოყვანილი ახალი ჯიში!

სტარტის დღეს კიდევ ბევრ საინტერესო საკითხზე ისაუბრეს პიონერებმა. ოცნებაში ხედავდნენ სკოლის თავზე აკიაფებულ ლალის ვარსკვლავს — „შვიდწლედის თანამგზავრის“ სიმბოლოს.

გურამ ბახტაძე



გახარებული არიან მესამერაზმელები — „მინდვრის დედოფალის“ უხვი მოსავალი მოიყვანეს.



კარგია, როდესაც მონდომებას ტექნიკის ცოდნაც ერწყმის. ამ პატარა ტრაქტორით ამუშავებენ პიონერები მთელ საცდელ ნაკვეთს.



ეს სათესლე სიმინდია. გაზაფხულზე ორჯერ მეტ ფართობს დათესავენ, ვიდრე წელს დათესეს.

ფოტოები გ. ათაბეგაშვილისა



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბანაკი უღვირზე

ტიელები. ჩვენ რიგელები ჯერ არასოდეს არ ვყოფილვართ ამ სიმაღლეზე. გარეთ შესანიშნავი ღამეა. ჩამუქებული მთები. ცაზე უთვალავი ვარსკვლავია. ამდენი ვარსკვლავი ჯერ არასოდეს მინახავს“.

დილით პიონერულმა საყვირმა გააღვიძა უღვირი. საყვირის ხმა მიდამოს მოედო, სოფელ წვირმსაც მიწვდა. მობანაკეებმა სწრაფად დაიბანეს ხელპირი, ისაუზმეს.

ნასაუზმევს კი პატარა გასეირნება მოაწყვეს. შორს არ წასულან, იქვე ახლოს მდებარე სოფელ წვირმს ესტუმრნენ. შესანიშნავი სურათი გადაიშალა წვირმში მოლაშქრეთა თვალწინ. ხეობებით შემორკალული სოფელი ერთ დიდ გემბანს გავდა. პირდაპირ ლასილის ჯადოსნური ხეობა ჩანდა. ხეობაში გემის კიჩოსავით შემოჭრილიყვნენ ქედები. ქედებზე პატარა სვანური სოფლები.

— ამ სილამაზეს ვერაფრით ვერ გადაიტანთ ტილოზე. — ამბობდა მოსკოველი ლიდა კუზნეცოვა და გულდაგულ ხატავდა ლასილის ხეობას. სხვები კი მდუმარედ იდგნენ და გაოცებისაგან შუბლი შეკვროდათ.

— ეს რაა, სილამაზე აწი ნახეთ, კალაში ჩავალთ, უშგულსაც ვნახავთ და სილამაზეზე მერე ვილაპარაკოთ.

მეორე დღეს, როცა უშგულში წასასვლელად გაემზადნენ, უნგრელი გოგონა იულიანა დიურკო ბონდო კახიანთან მივიდა.

— ბონდო, ეგ რა ქუდი გახურავს?

— ეს სვანური ქუდია, ჩვენში სულ ამას ატარებენ. მოგწონს?

იულიანამ თავი დაუქნია. ბონდომ ქუდი იმ წამსვე მოიძრო და სტუმარს გაუწოდა.

— მე სამაგიეროდ უნგრულ სურას გაჩუქებ, — თქვა იულიანამ და სურის მოსატანად გაიქცა.

— არა, არ მინდა, განა იმისათვის გაჩუქე, რომ შენც სამაგიერო რაიმე მომცე.

— არა, ეგ სულ არ მიფიქრია, ისე მინდა, რომ ჩემი მშობლიური ბუდაპეშტის მოსაგონრად რაიმე გქონდეს.

მერე გოგო-ბიჭები გზაზე გაეწყვნენ. თავში ვანო გაჩეჩილაძე დადგა. იგი ხშირი სტუმარია სვანეთის და თითქმის ყველა გზა, ყველა ბილიკი შესანიშნავად იცის. და აი, ჩაუყვნენ ენგურს უღვირის გადასასვლელიდან. გვერდით გაუარეს პატარა ტბას. მერე გზიდან გადაუხვიეს და მოკლეზე დაეშვნენ. შორს ჩანდა სოფელი მულახი. ისევ სვანური კოშკები... მათ ფონზე კოპწიად მოჩანდნენ ახლადაღმართული სვანური სახლები.

ეროვნული ბიბლიოთეკა



მორიგე მზარეული სადილის თადარიგშია.

— შეხედეთ, თეთნულდი ლეჩაქს იხდის, — თქვა დინეზა მასწავლებელმა.

მართლაც შორს, რუხი მთების მიღმა, ჩანდა თოვლიანი მწვერვალი. ეს თეთნულდი იყო. იგი ნელნელა იშორებდა თეთრ, გამჭვირვალე ნისლს. იშორებდა და თანდათან აჩენდა ჯადოსნურ სილამაზეს.

ვიღაცამ „ლილე“ წამოიწყო. სიმღერამ ჯერ გაუბედავად აიდგა ფეხი. მერე აზვირთდა, შორიდან საპასუხო ხმაც მოისმა. ეს ყანაში გასული სვანები პასუხობდნენ პიონერებს. ცელებს იქნევდნენ და ისე დაჰგუგუნებდნენ „ლილეს“.

კალაში შუადღისას ჩავიდნენ. კოლმეურნეობის თავმჯდომარე ძია უჩა წინ შემოეგებათ. სკოლისაკენ წაუძღვათ. სკოლის ეზოში უკვე იდგა ავტობუსი, რომელსაც საძილე ტომრები მოეტანა. იქვე კალელი მოსწავლეებიც ფუსფუსებდნენ.

— კვირიკეზე წამოდით, კვირიკეზე. — ამბობდნენ ისინი.

ერთად ისაუზმეს კალელებმა და სტუმრებმა. მერე კვირიკესაკენ აუყვნენ.

კვირიკეს ეკლესია ხეობის მარცხენა მხარეს მაღალ მთაზე დგას. ეკლესიაში დაცულია ძველი ოქრომჭედლობის შესანიშნავი ნიმუში — შალიანის ხატი.

პიონერებმა გულმოდგინედ დაათვალიერეს კვირიკე. იქვე ეზოში გამართეს დიდი ზეიმი და შემდეგ კმაყოფილები ისევ კალასაკენ დაეშვნენ. აქ სკოლის ეზოში დიდი კოცონი ააგიზგიზეს. კოცონთან მოხუცებიც მიიპატიჟეს. მოხუცებმა ბევრი საინტერესო ლეგენდა ჩააწერინეს ნორჩებს. დილით ადრე უშგულისაკენ დაიძრნენ. უშგულში უამრავი კოშკია, იგი ერთ-ერთი ლამაზი სოფელია. შემდეგ აგიშიც დალაშქრეს ნორჩმა ტურისტებმა. გზაზე ერთი პატარა მწვერვალი აიღეს, რომელსაც მეგობრობის მწვერვალი უწოდეს.

ადიშში მოლაშქრეებს მოხუცი ალპინისტი ადსილ ავალიანი შეხვდა. პაპა ადსილი ბევრი ალპინისტური ასვლის მონაწილეა. „ახლა მუხლები აღარ მივარგა, მაგრამ ჩვენმა კუთხემ ჩემს მაგიერ იმდენი მუხლმაგარი მთასვლელი გამოზარდა, — გული არ მწყდება ყველა მწვერვალი რომ ვერ დავლაშქრეო“ —თქვა ძველმა მთასვლელმა. და შემდეგ მოუყვა ჯაფარიძეების ოჯახის ამბავი. ესაუბრა პიმენ დვალზე. ყვებოდა მთამსვლელობაზე. ნორჩებმა გადაწყვიტეს შეედგინათ ალბომი — „სვანი ალპინისტები“.

ლაშქრობაში და მოგზაურობაში უცბად გაიარა დღეებმა. 6 აგვისტოს მეგობრობის ბანაკში დიდი კოცონი დაანთეს. კოცონთან მთელი ბანაკი შეიკრიბა. გაცვალეს მისამართები.

—ჩვენ უღვირის მეგობრობის ბანაკმა დაგვაკავშირა ერთმანეთს. მარადის ურღვევი იქნება ჩვენი მეგობრობა!—იმეორებდნენ ისინი ამ სიტყვებს და ყველას მიჰქონდა მდიდარი და უტკბილესი მოგონება უღვირის კალთაზე გატარებულ დღეებისა.

**რ. ჩაჩანიძე**

ფოტო დ. იაკობაშვილისა



ბიჭებს მოშივნიათ და სადილის დასაჩქარებლად ფიჩხს წახევიან.



— დაიღალე, ბიჭი?

— ჯერ ოცდაერთი კილომეტრი გაიარე და მერე მელაპარაკე.



შეკრების მონაწილენი (მარცხნიდან მარჯვნივ): თემურ იოსელიანი, ნინო ცინცაძე, პოლონელი პიონერი პოპა ვლადიმერი და ნოდარ მარგიანი.

# მეგობრობა გრძელდება

„17 წელი“ — ასე სწერია მესტიელ, თბილისელ და მოსკოველ პიონერთა მეგობრობის მატიანეში. ამ ხნის განმავლობაში რამდენჯერმე ეწვივნენ ქართველი პიონერები მოსკოველ მეგობრებს. მოსკოველებიც იყვნენ სტუმრად თბილისსა და სვანეთში.

წელს მოსკოველები აღმოჩნდნენ „ვალში“...

— გეპატიჟებით პიონერთა ბანაკ „მერცხალაში“, — გამოგზავნეს საქართველოში მოსაწვევი ბარათი, აუცილებლად გვეწვიეთო.

გაემგზავრნენ სვანეთიდან მესტიელი პიონერები: თემურ იოსელიანი და ნოდარ მარგიანი, თბილისიდან ნანა ორახელაშვილი და ნინო ცინცაძე.

გულთბილ შეხვედრებში ჯერ კურსკის სადგურზე, მერე „მერცხალაში“, და ახალი ამხანაგების გაცნობაში გავიდა ორი მხიარული დღე.

* * *

გათენდა მესამე დილა, ოდნავ მოღრუბლული და გრილი. ამ დღეს პიონერები ჩაიკოვსკის სახლ-მუზეუმს უნდა ეწვიონ.

სწრაფად გამოეწყვნენ. ფანქრები და რვეულები მოიმზადეს და გზას გაუდგნენ.

— ქალაქი კლინი! — თქვა ავტობუსის მძღოლმა. მერე გაუხვია გარეუბნისკენ და დიდი ბაღის ჭიშკართან მიაყენა ავტობუსი. „აქ ცხოვრობდა ჩაიკოვსკი“ — წარწერა შესასვლელთან. შენობაში სიჩუმეა. ინტერესით ათვალიერებენ სახლ-მუზეუმს.

აგერ ნიკოლოზ და ანტონ რუბინშტეინების სურათები, რომელთა ამაგის დავიწყება არ შეეძლო ჩაიკოვსკის. პირველად ხომ მათ მიიწვიეს იგი მოსკოვის კონსერვატორიაში. აქვეა ნადეჟდა ფილარეტოვნა ფონ მეკის — მოსკოველი მეცენატის, ჩაიკოვსკის მუსიკისა და ნიჭის უზადო დამფასებელის სურათი. გვერდზე კომპოზიტორის ძმის, ბიოგრაფისა და სახლ-მუზეუმის დამაარსებლის მოდესტ ჩაიკოვსკის პორტრეტია.

აი, წიგნების დიდი კარადა, რომელიც ჩაიკოვსკის უსაყვარლესი თხზულებებით არის გავსებული.

აგერ სადირეჟორო სამი ჯოხი.

ბავშვები ინტერესით შესცქერიან სურათს „ჩაიკოვსკი ოჯახის წევრებთან ერთად“ — აი, კომპოზიტორის საყვარელი და, რომელსაც ჯერ კიდევ ძალიან ახალგაზრდა ჩაიკოვსკი სწერდა ერთ-ერთ წერილში: „ გვიან თუ ადრე მე გავცვლი სამსახურს მუსიკაზე, ვიქნები ცნობილი კომპოზიტორი ან ღარიბი მასწავლებელი... მაგრამ ჩემი სინდისი დამშვიდებული იქნება...“

მართლაც, 1863 წელს ჩაიკოვსკი თავს ანებებს სამინისტროში სამსახურს, უარყოფს იურისტის სპეციალობას და იწყებს ნამდვილ მუსიკალურ ცხოვრებას.

ექსკურსია მთავრდება. მესტიელი, თბილისელი და მოსკოველი პიონერები ხურავენ რვეულებს და თხოვენ მოასმენინონ ჩაიკოვსკის რომელიმე ნაწარმოები. ბაღში, სადაც კომპოზიტორს დასვენება უყვარდა, ისმენდნენ ჩაიკოვსკის დიდებულ მელოდიებს...

* * *

წინა რიგებიდან დაიძახეს: მშვიდობა, მეგობრობა! მშვიდობა, მეგობრობა! ესენი მოსკოველი პიონერები არიან. მერე მათ ურალელი და ქართველი პიონერები აჰყვნენ და მთელი დარბაზი აგუგუნდა: მშვიდობა, მეგობრობა! მშვიდობა, მეგობრობა!

მალე გაიხსნა ფარდა. გამოჩნდნენ სხვადასხვა ფერის ყელსახვევიანი 15 ქვეყნის პიონერები. მიესალმნენ დარბაზს და სიმღერა დაიწყეს.

ეს შეკრება გამოსათხოვარი შეხვედრა იყო. არტეკელი პიონერებიც მოვიდნენ, რათა გამომშვიდობებოდნენ ახლად შეძენილ მეგობრებს.

პირველნი ჩეხი პიონერები გამოდიან. ცისფერი თვალებითა და მომღიმარი სახეებით თითქოს შუქი შემატეს დარბაზს. იმღერეს მშობლიური სიმღერა „მხიარული ბავშვები“.

ფრანგი პიონერები თავიანთ თავს ვაიანებს უწოდებენ, რაც მამაცსა და გაბედულს ნიშნავს. ვაიანები მღერიან ფრანგი პარტიზანების სიმღერას.

მერე ერთმანეთს ცვლიან ნორვეგიელი, დანიელი, ფინელი და სხვა ქვეყნების პიონერები. ყველა უმღერის მშვიდობას, სიხარულსა და მომავალს. დასასრულს ყველანი ფეხზე დგებიან, ისევ გაისმის:

— მშვიდობა! მეგობრობა!

სტუმრებს მასპინძლებმა ყვავილთა თაიგულები და სამახსოვრო ნიშნები მიართვეს.

თბილისელი და მესტიელი პიონერებიც მიიწვიეს სურათების გადასაღებად. მოვიდნენ ფრანგი პიონერებიც. მათ გაიგეს ქართველების აქ ყოფნა და სთხოვეს სურათი გადაეღოთ მათთან.

გვიან დატოვეს პიონერთა სასახლე ქართველმა პიონერებმა.

— კიდევ მრავალჯერ გვესტუმრეთ ძვირფასო მეგობრებო, — აცილებდნენ მოსკოველი პიონერები ქართველ მეგობრებს.

**მირონ ხერგიანი**



ქართველი პიონერები გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პიონერებთან.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ბალადა სვანურ ქუდზე



ზურაბ კუხიანიძე

ნახ. თ. სამსონაძისა

1.

ვიწრო ბილიკს მიჰყვები,
მთებზე თოვლი ელვარებს,
კლდეებიდან ჯიხვები
გასცქერიან მწვერვალებს.

სვანურ კოშკებს რომ უმზერს, —
ხარობს თვალი მნახველის...
ხშირად კოშკთა ქონგურზე
ფრთას ღრუბლები ახევენ.

თეთნულდს, ცაში ასვეტილს,
მთის არწივი დაჰხარის...
დგას ამაყად სვანეთი,
ლამაზი და მაღალი.

2.

ერთხელ, სვანეთს შემოსილს
მწვანე თავსაბურავით,
ქალაქიდან ესტუმრა
პიონერი გურამი.

სვან ბიჭებში ხალისით
თამაშობდა ბექობთან.
მათში, უფრო ხაიშელ
გიოს დაუმეგობრდა.

ერთად ნახეს ლახირი,
ჩაიარეს იფარში,
დადიოდნენ ნახირში,
ხალხს შველოდნენ თიბვაში.



გიოს განშორებისას
ცრემლი მოსწყდა ფარული
და მეგობარს სახსოვრად
ქუდი ჩისცა სვანური.

გიო მთებში მიბრუნდა,
გური ქალაქს წავიდა...
შავ თმას აჩნდა ის ქუდი
თოვლის გუნდასავითა.

3.

ქალაქელი ბიჭების
ამბავს კაცი გაიგებს?!
იხურავენ, ირჩევენ
ქუდებს ნაირ-ნაირებს.

და გურამი ქალაქში
დიდებთან თუ სწორებთან,
სვანი ბიჭის ნაჩუქარ
ქუდით თავს იწონებდა.

ის სხვა ქუდებს შუბლგაშლით
დასცქეროდა ზემოდან.
გურის ქუდზე უბანში
ყველას თვალი რჩებოდა.

სხვებზე უფრო აშკარად
ქუდის სურვილს ამხელდა
რუსი ბიჭი პატარა,
ვოვა ერქვა სახელად.

ქუდში რა არ აძლია:
თეთრი ლეკვი ბროლია,
ბურთი, ბადე, გალია —
და ვერ დაიყოლია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ერთ დღეს ვოვას მშობლებმა
შეკრეს მთელი ქონება,
ისურვეს საცხოვრებლად
მოსკოვში გაქროლება.

როცა უკვე ჩამოდგა
განშორების საათი, —
გურიამ ვოვას საჩუქრად
მისცა ქუდი ნანატრი.

გზად ესმოდა ვაგონთა
ბორბლის იავნანური
და მოსკოვში გაქროლდა
კოხტა ქუდი სვანური.

4.

დიდი არის მოსკოვი;
აქ ქუდს ნახავთ ათასგვარს:
ქუდს — ჭილისგან მოქსოვილს,
ქუდს — შეკერილს ვით ვარსკვლავს.

ზოგს აქვს — ფორმით დაირის,
ზოგს კი — მხრების მფარავი,
მაგრამ ვოვასნაირი
არ ეხურა არავის.

სვანურ ქუდზე მოსკოვში
ფიცხად ზჭობდნენ დინჯებიც..
და დასდევდნენ ფეხდაფეხ
მოსკოველი ბიჭები.

როგორც დიდი ფანტელი,
თავზე დანაოოვარი,
ჰქონდა ქუდი, ქართველი
ბიჭის ნასახსოვარი.

ერთ დღეს ქუდი სვანური
დაიხურა გვერდულად
და ბანაკის საგზურით
ვოვა არტეკს ესტუმრა.

მზე იყო თუ საავდროდ
ზეცა — გაიწვიმებდა —
სვანურ თეთრ ქუდს არასდროს
თავზე არ იცილებდა.

ქუდი სად არ ატარა:
ტყეში, ზღვაში, კოცონთან...
ყველას მისი პატარა
თეთრი ქუდი მოსწონდა.

სხვებზე უფრო ფარულად —
მუდამ სახემზიანი —
მის ქუდს ჭვრეტდა ჩოფურა
ჩეხი ბიჭი იანი.

ხშირად, ხშირად ამ ქუდზე
ჰქონდა სჯა-ლაპარაკი...
და როდესაც დახურეს
პიონერთა ბანაკი, —

აუსრულდა უეცრად
ჩეხ ბიჭს ნატვრა მალული:
ვოვამ იანს სახსოვრად
მისცა ქუდი სვანური.

მატარებელს, შორ გზებზე
რომ მიჰქრის და ხმაურობს,
წაჰყვა ქუდი სვანური,
ქვეყნად სამოგზაუროდ.

5.

იქნებ ჩეხთა მიწიდან
ჩაესტუმროს მექსიკას,
მაგრამ ქუდი დიდი ხნით
ვერ გაჩერდეს ვერც იქა.

შემდეგ ქუდი, როდესაც
მექსიკაში გგონია,
ვით ფრთიანი ოცნება,
მიჰქრის იაპონიას.

ნახავს უცხო მინდორ-ველს,
გზებს დიდსა და ხიდიანს,
შემოიარს ინდოეთს,
ეგვიპტეს და მიდის.

მიენდობა ხალისით
კარგ ბიჭებს და არა ბედს...
ესტუმრება პარიზელს,
ინახულებს არაბეთს.

ხან სოფელში გადუხვევს,
ხან შეხვდება მაღარო...
იქნებ იგი შავტუხა
ზანგის ბიჭმაც ატაროს.

ზოგან ცვარი შეთრთვილავს,
ზოგან დაჰკრავს ალმური
და შორ გზებზე კეთილად
ივლის ქუდი სვანური.



# უკვდავი დიდება

1812 წლის სამამულო ომის

150 წლისთავი

ნახ. პ. პავლინოვისა

**გრიგოლ მარგიანი,**
ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი.

1812 წლამდე საფრანგეთის არმია «უძლეველად» იწოდებოდა, ხოლო მისი მთავარსარდალი ნაპოლეონი — «ომის ღმერთად».

1812 წლის 24 ივნისს საფრანგეთის «თორმეტ ენაზე მოლაპარაკე» ექვსასათასიანმა არმიამ ომის გამოუცხადებლად მუხანათურად გადმოლახა მდინარე ნემანი და შემოიჭრა რუსეთში. შემოსევის დღიდან გავიდა ექვსი თვე და 1812 წლის ნოემბერ-დეკემბერში რუსეთიდან ნემანზე გაბრუნდა საფრანგეთის «დიდი არმიის» სანახევროდ განიარაღებული 30 ათასი მებრძოლი. ნაპოლეონმა რუსეთში დაკარგა 550,000-ზე მეტი ჯარისკაცი, მთელი კავალერია და არტილერია. თვითონ კი ომის დამთავრებამდე გაიქცა რუსეთიდან.

* * *

საფრანგეთის ბურჟუაზია რევოლუციაში გამარჯვებისთანავე შეუდგა ბრძოლას ევროპასა და მთელ მსოფლიოში გაბატონებისათვის. საფრანგეთმა წლების მანძილზე მრავალი დიდი და მცირე ომი აწარმოა და გამარჯვებები მოიპოვა. 1812 წლის დამდეგისათვის ნაპოლეონის იმპერიის ფარგლებში მოექცა მრავალი სახელმწიფო. ძალდატანებითი გაერთიანებით შეკოწიწებული საფრანგეთის გრანდიოზული იმპერია წარმატებით ებრძოდა ინგლისს და დამონებით ემუქრებოდა. იმდროინდელ მსოფლიოში რუსეთი იყო ერთადერთი სახელმწიფო, რომელსაც შეეძლო მხარი დაეჭირა ინგლისისათვის. ასეთ შემთხვევაში საფრანგეთი ვერ დაამარცხებდა ინგლისს. რუსეთი იყო მთავარი და დაუძლეველი დაბრკოლება საფრანგეთისათვის ევროპასა და მსოფლიოში გაბატონების გზაზე.

რუსეთის წინააღმდეგ ომის უშუალო სამხედრო, ეკონომიურ, პოლიტიკურ და დიპლომატიურ სამზადისს ნაპოლეონი შეუდგა 1810 წლის ოქტომბრიდან. 1812 წლის გაზაფხულისათვის მან დაამთავრა ეს სამზადისი. რუსეთში ლაშქრობისათვის ნაპოლეონმა შექმნა «თორმეტ ენაზე მოლაპარაკე დიდი არმია». ამ არმიის ერთ მესამედს შეადგენდნენ საკუთრივ ფრანგები, მეორე მესამედს გერმანელები, მესამედსაც სხვა ეროვნების ხალხები (არაბები, პოლონელები, იტალიელები, ესპანელები, პორტუგალიელები და სხვ.). «დიდი არმიის» ერთ-ერთი მთავარი ბირთვი იყო მარშალ დავუს კორპუსი. რუსეთში ლაშქრობის წინ ნაპოლეონი აცნობებდა დავუს: «საომარი მოქმედება მოგვიხდება უაღრესად ღარიბ ქვეყანაში, აუცილებელია საგანგებოდ მომზადებაო». მრავალ ლაშქრობაში განსწავლულმა მარშალმა დავუმ აცნობა იმპერატორს: «ჩემი 70.000-იანი არმია მზადაა, ყოველმხრივ მომარაგებულია. თითოეულ ჯარისკაცს ექნება 25 დღის სურსათი, ყოველ ასეულშია მკერავები, ხარაზები, ქვის ოსტატები, ერთი სიტყვით, ყოველგვარი ხელობის ოსტატები. ჩემი კორპუსი ნამდვილი კოლონიაა. ჩვენ გვექნება ხელის წისქვილებიც. ნაპოლეონის ჭეშმარიტად დიდ არმიას გააჩნდა მდიდარი საბრძოლო გამოცდილება, მძლავრი შეიარაღება, შესანიშნავი სამხედრო ხელმძღვანელობა. ამის მიუხედავად, «დიდ არმიას» რუსეთში სრული განადგურება მოელოდა. მას არ გააჩნდა რევოლუციური ომების დროინდელი ენთუზიაზმი, მორალური სიმტკიცე და ერთიანობა. ამავე დროს ეს არმია რუსეთში მიემართებოდა როგორც დამპყრობელი ძალა, რომელსაც რუსეთის არმიასთან ერთად წინ აღუდგებოდა დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი რუსეთის მთელი მოსახლეობა. ამიტომ საფრანგეთის «დიდი არმია» წინასწარ იყო განწირული დასაღუპავად.

ლაშქრობის წინ ნაპოლეონი მტკიცედ ვარაუდობდა, რომ შეიჭრებოდა რუსეთის გულში—მოსკოვში და გან-



გმირავდა ქვეყანას: «თუ მე კიევს ავიღებ, — ამბობდა იგი, — მე რუსეთს ხელს წავკიდებ ფეხებში, თუ მე დავეუფლები პეტერბურგს, მე მის თავს შევიპყრობ, მოსკოვის აღებით კი მის გულს განვგმირავ». დამპყრობელი ასეც მოიქცა. რუსეთის იმპერიაში შემოჭრისთანავე მან შეტევის მთავარ მიმართულებად მოსკოვი აიღო.

ომის პირველ თვეებში ნაპოლეონი წარმატებით ავითარებდა ოპერაციებს და ქვეყნის შუაგულისაკენ მიიწევდა. რუსეთის ორივე არმია დასავლეთ საზღვარზე ერთმანეთისაგან განცალკევებულად იდგა და, მკაცრი აუცილებლობის გამო, უკან იხევდა. მძიმე მდგომარეობაში მოქცეული რუსეთის არმიების საბრძოლო მოქმედებას რამდენადმე აბრკოლებდა სამეფო კარისა და უნიჭო პრუსიელი გენერალ ფულის თვითნებობა. მოწოდების სიმაღლეზე ვერ იდგა უმაღლესი მთავარსარდლობა, რომელიც უმთავრესად მხოლოდ რუსეთის პირველი არმიის (ხშირად უბრძოლველად) უკანდახევას წინამძღოლობდა და ამის გამო მთელი არმიისა და მოსახლეობის გულისწყრომას იმსახურებდა.

რუსეთის პირველი არმია შედარებით იოლ პირობებში აწარმოებდა უკანდახევას, ხოლო, მეორე არმია, რომელსაც დიდი მხედართმთავარი პეტრე ბაგრატიონი სარდლობდა, «არიერგარდული» ბრძოლებით და ოსტატური მანევრებით იგერიებდა ნაპოლეონის არმიის წამყვან ძალებს. ბაგრატიონის არმიამ გადაიტანა აგრესორის არმიის უძლიერესი ნაწილების მთელი მძიმე დაწოლა და, ძნელ პირობებში, არაერთი სასტიკი დარტყმა აგემა რიცხობრივად ჭარბ მოწინააღმდეგეს.

ხანგრძლივი განცალკევებულობის შემდეგ რუსეთის ორი არმია შეერთდა სმოლენსკთან. რუსეთის არმიებმა ბრძოლით დატოვეს ალმოდებული ქალაქი. ნაპოლეონის ურდოები ფეხდაფეხ მისდევდნენ რუსეთის არმიას მოსკოვის მიმართულებით. საფრთხე ემუქრებოდა რუსეთის გულს — მოსკოვს. უკანდახევით შეშფოთებული რუსეთის არმია და მთელი მოსახლეობა მოითხოვდა არმიის უმაღლესი მთავარსარდლის შეცვლას და მტერთან სამკვდრო-სასიცოცხლო შერკინებას. უმაღლეს მთავარსარდლად უნდა დანიშნულიყო ისეთი პიროვნება, რომელსაც ენდობოდა მთელი არმია, მთელი ხალხი. მხოლოდ ასეთ პიროვნებას ექნებოდა გამბედაობა წასულიყო უაღრესად სახიფათო რისკზე და არნახული მსხვერპლის გაღებაზე, რასაც მოითხოვდა აგრესორთან გენერალური ბრძოლა. ასეთი პიროვნება იყო სახელგანთქმული უხუცესი სარდალი მიხეილ ილარიონის ძე კუტუზოვი, მაგრამ ალექსანდრე პირველი მტრულად იყო მისდამი განწყობილი. ამის მიუხედავად, იმპერატორი, თავისი ნება-სურვილის საწინააღმდეგოდ, არმიისა და მოსახლეობის დაჟინებითი მოთხოვნით, იძულებული გახდა უმაღლეს მთავარსარდლად დაენიშნა კუტუზოვი.

1812 წლის 19 აგვისტოს ახალი მთავარსარდალი გამოეცხადა თავის არმიას ცარევო-ზამიშჩევში. არმიამ დიდი ზეიმით მიიღო «ხსნის ბელადი» — კუტუზოვი.

რუსეთის არმია უკან იხევდა გმირული წინააღმდეგობებით. მისი სარდლობა მტერთან გენერალური ბრძოლისათვის საუკეთესო პოზიციას ეძებდა. დაბოლოს, 1812 წლის 23 (4 სექტემბერს), რუსეთის არმია შეჩერდა სოფელ ბოროდინოსთან. ამასთან დაკავშირებით კუტუზოვი ატყობინებდა პეტერბურგში:

«პოზიცია, რომელზედაც მე შევჩერდი სოფელ ბოროდინოსთან, მოჟაისკიდან თორმეტი კილომეტრით წინ, ერთ-ერთი საუკეთესოთაგანია, ყველა იმათგან, რომლებიც შეიძლება მოინახოს ვაკე ადგილებში.

ამ პოზიციის სუსტი მხარეა მარცხენა ფრთა, რომლის გასწორებასაც მე შევეცდები სამხედრო ხელოვნებით. სასურველია, რომ მოწინააღმდეგემ ჩვენ შემოგვიტიოს ამ პოზიციაზე, მაშინ მე დიდი იმედი მაქვს გამარჯვებისა». რუსეთის არმიის პოზიციის მარცხენა ფრთა სუსტი უბანი იყო იმიტომ, რომ ის მოკლებული იყო განმკარგულებელ სიმაღლეებსა და ბუნებრივ სიმაგრეებს (დიდ მაღლობებს და ღრმა ხევებს), რასაც იმდროინდელ ომებში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა.


ეროვნული ბიბლიოთეკა

მ. ი. კუტუზოვი

რუსეთის არმიის პოზიციის სუსტი უბანი (მარცხენა ფრთა) ნაპოლეონს არ დარჩა შეუმჩნეველი. ბოროდინოს ბრძოლის წინა დღეს, მარშლებთან საუბარში, მან პირდაპირ განაცხადა: «განსაცვიფრებელი შეუდრეკლობა, მედგრობა და მამაცობა რუსებისა იძულებულს მხდის მივმართო უკიდურეს ზომებს. მე მიხდება გადავუშვა მარცხენა ფრთაზე მოკლე მანძილიდან, მოულოდნელად და მნიშვნელოვანი ძალებით. მე დავაწვები მათ, ირიჟრაჟებს თუ არა, ერთბაშად, უზარმაზარი ძალებით და ბრძოლას გავაჩაღებ ჯერ არნახული და ჩემ მიერ პირველჯერ ნაცადი ინტენსიურობით, შეტევაზე გადასულ ქვეითა ჯარს მე დაუყოვნებლივ უკან დავადევნებ მთელ ჩემ კავალერიას და არტილერიას. მხოლოდ ყველა ამ ღონისძიებით შემიძლია მე ვძლიო 1812 წლის რუსეთის ეს საშინელი არმია».

ამრიგად, რუსეთის არმიის პოზი-

ეროვნული ბიბლიოთეკა



პ. ი. ბაგრატიონი

ციის მარცხენა ფრთა უნდა გამხდარიყო გენერალური ბრძოლის მთავარი უბანი და «ხორცსაკეპი», რომელშიც უნდა გამოტარებულიყო დაპირისპირებული არმიების ძირითადი ძალები. რუსეთის არმიის პოზიციის სუსტი, მაგრამ გადამწყვეტი უბნის (მარცხენა ფრთა) დაკავება წილად ხვდა მეორე არმიას, რომელსაც სარდლობდა 20 გამარჯვებული ლაშქრობის და 149 ბრძოლის ვეტერანი პეტრე ბაგრატიონი.

დაპირისპირებულმა არმიებმა გენერალური ბრძოლისათვის სასწრაფო სამზადისი დაამთავრეს 25 აგვისტოს (6 სექტემბერს). საგონებელში ჩავარდნილი ნაპოლეონი, თავის ჩვეულების წინააღმდეგ, განსაკუთრებული სიფრთხილით ემზადებოდა.

ამის გამო კუტუზოვი მეუღლისადმი გაგზავნილ წერილში ირონიულად შენიშნავდა: «ნაპოლეონი იმდენად ფრთხილად იქცევა, რომ ვეღარ ვცნობ, პირდაპირ ყურებამდე ჩაიფლო მიწაში» (სანგრებში).

გენერალური ბრძოლის წინა საღამოს მებრძოლებს ორმაგი ულუფა და ღვინო მიართვეს, ისინი ადრე დააძინეს. ღამე სარდლობათა სამზადისი არ დამცხრალა. ისინი საბოლოოდ აზუსტებდნენ სამხედრო-სტრატეგიულ გეგმებს.

სხვათა შორის, ამ საღამოს ნაპოლეონს გამოეცხადა პარიზიდან ჩამოსული ელჩი. ელჩმა ნაპოლეონს ჩამოუტანა ვაჟიშვილის სურათი. მან დახედა სურათს და ბრძანა კედელზე დაეკიდათ. ნაპოლეონი მუშაობდა, თან სურათის ყურებაც იტაცებდა, ამიტომ ითხოვა სურათი გაეტანათ კარვიდან. მოსვენებას მოკლებულმა იმპერატორმა მალე იკითხა: «სად დაკიდეთ სურათი?» აღმოჩნდა, კარვის გარეთა კედელზე, (ბოროდინოს ველის მხარეს) დაეკიდათ. ნაპოლეონმა განაცხადა: «ჩვილი ბავშვი ცოდვაა შეჰყურებდეს იმ ველს, სადაც ხვალ გაიმართება ისტორიაში გაუგონარი ხოცვა-ჟლეტა. შემოიტანეთ!»

1812 წლის 26 აგვისტოს (7 სექტემბერს), როცა «სინათლე სიბნელეს ჯერ კიდევ ვერ შებრძოლებოდა», ბოროდინოს ველზე დაიწყო გრანდიოზული, სისხლისმღვრელი ბრძოლა. ბრძოლებში უშუალოდ მონაწილეობდა 260.000-მდე მებრძოლი... მრავალი ასეული ქვემეხი...

გრანდიოზული ბრძოლის მთავარი ასპარეზი გახდა პეტრე ბაგრატიონის არმიის პოზიცია. ფრანგების მრავალი იერიში მოგერიებულ იქნა. ბაგრატიონის არმიამ შეინარჩუნა პოზიცია, ვიდრე სასიკვდილოდ დაჭრილი სარდალი ბრძოლის ველიდან არ გაიყვანეს. ბაგრატიონმა დიდებით გამოიარა ომები ოჩაკოვიდან დაწყებული ბოროდინომდე, სადაც ფრანგულმა ყუმბარამ სისხლიანი წერტილი დაუსვა მის ბიოგრაფიას.

გვიან საღამოს გენერალური ბრძოლა დამთავრდა სიკვდილმა არნახული მოსავალი მოიმკო: ფრანგებმა მოკლულთა და დაჭრილთა სახით დაკარგეს 58.000 მებრძოლი, მათ შორის 47 გენერალი, ხოლო რუსებმა 44.000 მებრძოლი, მათ შორის 23 გენერალი.

ნაბრძოლ ადგილებში მოკლული და სასიკვდილოდ დაჭრილი ადამიანებისა და ცხენების გორები იდგა.

12 საათიანი ბრძოლა დასრულდა. ფრანგებმა ადრინდელი პოზიციისაკენ დაიხიეს.

ბოროდინოს ბრძოლა რუსებმა და ფრანგებმა თავთავის გამარჯვებად გამოაცხადეს. სინამდვილეში რუსეთმა ამ ბრძოლაში მოიპოვა დიდი სტრატეგიული და მორალური გამარჯვება. ფრანგებმა ვერ მიაღწიეს თავიანთ სტრატეგიულ მიზანს, გენერალურ ბრძოლაში რუსეთის არმიის განადგურებას და ზავს. რუსებმა კი მიაღწიეს თავიანთ სტრატეგიულ მიზანს, — საფრანგეთის არმიისათვის სასიკვდილო ჭრილობის მიყენებას, მისი მთავარი ნაწილების განადგურებას.

ბოროდინოს ბრძოლამ, ძირითადად, შეცვალა ძალთა თანაფარდობა და წინასწარ განსაზღვრა ნაპოლეონის არმიის სრული განადგურება.

ბოროდინოს ბრძოლის შემდეგ რუსეთის არმიის სარდლობამ შეადგინა გენიალური სტრატეგიული გეგმა. ამ გეგმით უნდა მომხდარიყო ხალხისა და არმიის ძალების სრული გაერთიანება. ფართოვდებოდა სახალხო ომი უბოროტესი დამპყრობლის ძალთა საბოლოო განადგურებისათვის. რუსეთის არმია ბოროდინოდან მოსკოვამდე და შემდეგაც უკან იხევდა სრული წესრიგით. საბოლოო გამარჯვების რწმენით აღსავსე ფელდმარშალი კუტუზოვი აცხადებდა: «მოსკოვის ჩაბარებით შევამზადებ მოწინააღმდეგის დაღუპვას». მაგრამ კუტუზოვს ეწინააღმდეგებოდა სამეფო კარი და გენერალიტეტი. დიდი სარდალი ასე მიმართავდა მათ: «თქვენ გეშინიათ მოსკოვიდან უკან დახევისა. მაგრამ წინასწარ ვჭვრეტ ამაში არმიის ხსნას. ნაპოლეონი გრიგალისებური ნიაღვარია, მისი შეჩერება ჩვენ ჯერ არ შეგვიძლია. მოსკოვი ის ღრუბელია, რომელიც მას შთანთქავს და შეიწოვს».

კუტუზოვმა განახორციელა ცნობილი მარშ-მანევრი. ამით კიდევ უფრო შეიცვალა ძალთა თანაფარდობა: შესაძლებელი გახდა საბრძოლო ძალთა თავმოყრა და შევსება, მათი მოქმედება, შეიარაღების გაძლიერება, სურსათ-სანოვაგით მომარაგება, მრავალრიცხოვანი სახალხო ლაშქრის შედგენა და სამხრეთ რუსეთის რაიონების დაცვა.

დამპყრობელი ნაპოლეონი ისე შევიდა მოსკოვში, რომ კვლავ ცინი-

კურად აცხადებდა: «მე თავს ვიცავ». მოსკოვში მან ვერ ჰპოვა მოსვენება, ვერ მიიღო მისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელი ზავი. ზავის მოთხოვნის პასუხად მას კუტუზოვმა შეუთვალა: «რუსეთი მხოლოდ ახლა იწყებს ომს». მოსკოვის მოსახლეობამ ქალაქი დაცალა და მხარში ამოუდგა თავის არმიას. მოსკოვი გაავერანეს, გადაწვეს და გადაბუგეს ფრანგებმა.

ნაპოლეონი იძულებული გახდა დაეტოვებია მოსკოვი. მაგრამ მას არ სურდა ძველი სმოლენსკის გზით უკან დახევა. ამ გზაზე თვითონ ფრანგებმა გადაწვეს და გაავერანეს ყველაფერი. ამიტომ ამ გზაზე ისინი ვერ იშოვიდნენ სურსათ-სანოვაგეს. ნაპოლეონი ცდილობდა მოსკოვიდან სამხრეთ დასავლეთის მიმართულებით გაჭრას. მაგრამ ამაოდ! რუსეთის არმიამ დაიწყო კონტრშეტევის სტრატეგული გეგმის განხორციელება. მან არ მისცა ნაპოლეონს საშუალება გაჭრილიყო მისთვის სასურველი მიმართულებით. რუსეთის არმიამ მტერს გაუმართა არაერთი ბრძოლა და დამარცხებულ აგრესორს დაედევნა. სამამულო ომი კიდევ უფრო გაიშალა: არმია, სახალხო ლაშქარი და პარტიზანები კვალდაკვალ მისდევდნენ მტერს.

ფრანგები უმოწყალოდ ტოვებდნენ გზაზე დაჭრილებს და შეიარაღებას. ისინი გარბოდნენ. ამის გამო კუტუზოვი კანონიერი სიამაყის გრძნობით წერდა: «გულს მინუგეშებს ის ამბავი, რომ პირველი გენერალი ვარ, ვისაც ბონაპარტე ასე გაურბის». რუსეთის არმიის მიერ დევნილმა ფრანგებმა ავადმყოფებითა და დაჭრილებით დატვირთული საბარგულები, უკანასკნელი ქვემეხები, არქივები და არმიის ხაზინა (10 მილიონამდე ფრანკით) ვილნოს მახლობლად დაყარეს ნოემბერ-დეკემბერში «დიდი არმიის» ნარჩენებმა უკანმოუხედავად გადაიარეს ნემანი და, როგორც იქნა, ამოისუნთქეს... 1812 წლის 21 დეკემბერს (ძვ. სტილით) რუსეთის გამარჯვებულმა არმიებმა მიაღწიეს სამშობლოს დასავლეთ საზღვრებს. სამამულო ომის დამთავრებასთან დაკავშირებით კუტუზოვმა მიმართა არმიას: «მამაცო და გამარჯვებულო ჯარებო! ბოლოს თქვენ იმპერიის საზღვრებთან ხართ. ყოველი თქვენთაგანი სამშობლოს მხსნელია, რუსეთი მოგესალმებათ თქვენ ამ სახელით».

* * *

რუსეთის სამამულო ომში მონაწილეობდა მრავალი ქართველი. ამის შესახებ ბაგრატ ბატონიშვილი სიამაყის გრძნობით გადმოგვცემს: «ძლიერთა ბრძოლათა შინა განგრძელებულთა 6 თვე, დღე და ღამე, ფრიად სახელოვნად აღმოჩნდნენ, ვითა შვენის ქართველთა მამაცობას. რომელნიმე დაიკოდნენ და რომელნიმე მოსწყდნენ, ხოლო ტყვედ ამ ბრძოლასა შინა არავინ შეპყრობილა სიმხნითა თვისითა».

ეს ომი ქართველი და რუსი ხალხების მრავალსაუკუნოვანი საბრძოლო თანამეგობრობის ერთ-ერთი ბრწყინვალე ნიმუშია. მრავალი ქართველი ჯარისკაცი და ოფიცერი გმირულად და თავდადებით იცავდა თავის მეორე სამშობლოს. მრავალმა ქართველმა თავიც შესწირა რუსეთის დაცვას ძლიერ და საშიშ მტერთან ბრძოლაში. სამამულო ომის წლებში რუსეთის არმიის მებრძოლ ქართველთა რიგებს ამშვენებდა ჩვენი სახელოვანი თანამემამულე, დიდი სარდალი პეტრე ბაგრატიონი, გენერლები: ი. დ. ფანჩულიძე, ს. დ. ფანჩულიძე, ვ. მ. იაშვილი, ლ. მ. იაშვილი, პ. ს. ბიბილური, ს. ე. ჯავახიშვილი, ი. ს. ჯავახიშვილი, ფ. ს. ჯავახიშვილი, ა. ს. შალიკაშვილი, ს. გ. განგებაშვილი, (განგებლიძე), რ. ი. ბაგრატიონი, ჩვენი სახელოვანი პოეტი ალექსანდრე ჭავჭავაძე და სხვ.

* * *

1813 წლის იანვარში რუსეთის არმიები გადავიდნენ საზღვარზე და დაიწყო «ევროპული ლაშქრობა». ეს ლაშქრობა რუსეთის არმიების ბრწყინვალე გამარჯვებათა მთელი ჯაჭვია. რუსეთის არმიამ თავისი გამათავისუფლებელი ლაშქრობა, ევროპის მოკავშირე ქვეყნების ჯარების თანამოქმედებით, დააგვირგვინა 1814 წლის აპრილში პარიზის აღებით.

ჩვენმა ქვეყანამ 1941—1945 წლებში ასევე ისტორიული გამარჯვება მოიპოვა დიდ სამამულო ომში: გაანადგურა ფაშისტური გერმანიის არმიები და თავისი გამარჯვება დააგვირგვინა ბერლინის აღებით 1945 წლის მაისში.

1812 წლის სამამულო ომის გმირთა ღირსეულმა მემკვიდრეებმა, — საბჭოთა არმიის მებრძოლებმა, — დიდ სამამულო ომში უკვდავი დიდების შარავანდედით შემოსეს თავიანთი დროშები, თავგანწირული, გმირული ბრძოლით დაიცვეს სამშობლო და დიდი გამათავისუფლებელი მისია განახორციელეს ჰიტლერული ტირანიისაგან ევროპის ხალხთა ხსნის საქმეში.






ეროვნული ბიბლიოთეკა

**აკაკი ართილაყვა**

ნახ. რ. თორდიასი

მ ო თ ხ რ ო ბ ა

დილით ადრე ავდექი, საგზალი მოვიმზადე, სავანგებოდ დახვეული სასროლი ბადე მხარზე გადავიგდე და მდინარისკენ გავწიე.

აჩქარებული ნაბიჯით ჩავუარე ხეხილის ბაღებს, გავიარე სიმინდის ყანა და მინდორზე გავედი. უცებ ხმაური შემომესმა. გავიხედე: სასიმინდეებთან ხალხს თავი მოეყარა, იქვე ურემი დავინახე, რომელსაც უღელი მოღრეცოდა.

ხალხი ერთ ადგილას აწყდებოდა, ჩოჩქოლი იდგა.

გამიკვირდა და ნაბიჯს მოვუჩქარე, მაგრამ სანამ მივუახლოვდებოდი, ჩემთვის ყველაფერი გასაგები გახდა; ჭონქას, რომელიც ახლახან ფერმიდან მოიყვანეს, ურემში შებმას უპირებდნენ. ჭონქა თავგამეტებით იბრძოდა, არ უნდოდა მისთვის უღელი დაედგათ, ფართო თვალებს ბრაზით აბრიალებდა, ქშინავდა, აქეთ-იქით აწყდებოდა, რქებით იმუქრებოდა, ვილაცას წიხლი მიარტყა.

— გავთოკოთ და მერე ველარ იძალებს! — წამოიძახა ერთმა.

— გავთოკოთ, გავთოკოთ! — დაეთანხმნენ სხვებიც და ვილაცამ თოკი გამოაძვრინა.

თითქოს ჭონქამაც გაიგოო, რასაც უპირებდნენ, მძლავრად მოიქნია ტანი და ხალხი მიმოფანტა.

— ძალა ასე რამ გამოგილიათ, ერთბაშად დავეხვიოთ და უღელში თავი შევაყოფინოთ, — დაიყვირა იქვე მდგომმა ჩასკვნილმა კაცმა და მთელი ძალით მოსწია ჭონქას რქებზე შემოხვეული თოკი, თოკს სხვებმაც ჩაავლეს ხელი და ჭონქას უცებ კისერი მოედრიკა. მძიმედ ამოიხვნეშა, მოძრაობა შეწყვიტა, თითქოს სამუდამოდ მინებდა მოძალადეებსო.

— აბა, ურემთან მივიყვანოთ! — წამოიძახეს ერთხმად. ჭონქას ერთბაშად შემოეხვივნენ გარშემო, ხელებით უბიძგეს და ურემთან მიიყვანეს. კისერზე რომ უღელს ადგამდნენ, ერთბაშად მოტრიალდა, ერთი გაიბრძოლა, გაიწია და გავარდა. ხალხი მიმოიფანტა. ბოლოს, გონს მოსულნი, ერთ ადგილას შეგროვდნენ. მიიხედ-მოიხედეს, მაგრამ ჭონქა იქ აღარ იყო, გვერდზე გადაყირავებული ურემიღა დაინახეს, რომელსაც თვლები მაღლა აეშვირა.

მე იქვე, შორიახლო ვიდექი და სიცილს ძლივს ვიკავებდი, ამოდენა ხალხმა ერთი მოზვერი რომ ვერ დაიმორჩილა. ალტაცებულმა [illegible] ჭონქას, რომელიც კუნტრუშით გარბოდა მინდორზე და თოკს მიათრევდა.

* * *

იმ დღიდან ჭონქას მთელი ორი კვირა დასდევდნენ დასაჭერად ჭალებში. მთელი სოფლის ნახირს თავი მოუყარეს და ერთბაშად მასთან მირეკეს. იფიქრეს, იქნებ საქონელს შეერიოს და მერე სადმე ორღობის ჩიხში მივიმწყვდიოთო. მაგრამ არც იმ საქონელს შეერია და არც ნათესებში შედიოდა, ეშინოდა, სიმინდებში ვინმე არ წამომეპაროსო, და ამის გამო სულ ერთთავად მინდორში ბალახობდა. მერე როგორღაც მთებისკენ გაიკვლია გზა, მთებში უფრო თავისუფლად იქნებოდა, ბალახიც უხვად იყო იქ.

დაუწყეს ძებნა, იქნებ ვიპოვოთ სადმე და დავიჭიროთო. იპოვეს, მაგრამ ხელში მაინც ვერ ჩაიგდეს. სათოფედაც არავის იკარებდა. რქებზე შერჩენილი თოკი, ამხნის განმავლობაში ჩამოძენძოდა, დამპალიყო. ვერაფერს რომ ვერ გახდნენ, იფიქრეს, თოფით მოვკლათო, ხორცით მაინც ვისარგებლოთო; მაგრამ დაენანათ, აბა, ჭონქას სათოფედ ვინ გაიმეტებდა. თავი მიანებეს და უკან გამობრუნდნენ.

* * *

მთელი დღე დავდიოდი, ვერაფერი ვინადირე. ერთგან ტყის ქათამს წავაწყდი, წამოფრენილს ჰაერშივე ვესროლე, მაგრამ ავაცდინე. მზის ჩასვლას ჯერ კარგა ხანი აკლდა, მაგრამ რაკი აქამდე ველარაფერი ვინადირე, გადავწყვიტე მწყემსების კარავში მივსულიყავი და ნადირობა მეორე დღისთვის გადამედო.

უცებ, ჩემი სოფლის ბიჭები, გივი და ედიშერი დავინახე. ისინი პირდაპირ ჩემკენ მოდიოდნენ, სახეზე შეშფოთება ემჩნეოდათ. ცოტა არ იყოს, შევფიქრიანდი, სოფელში ცუდი ხომ არაფერი მოხდა-მეთქი და შორიდანვე შევძახე:

— ბიჭებო, ცუდი ხომ არაფერი მომხდარა?

მაგრამ ბიჭებმა დაღლილობისაგან ერთ ხანს სიტყვა ვერ დასძრეს. ბოლოს როგორც იქნა, გივიმ მოახერხა ხმის ამოღება:

— ძია, აი, ხევს გაღმა პატარა მინდორია და იქ ნადირი შებმია ჭონქას.

— ჭონქას? სად, როგორ! — გავიკვირვე მე.

— აი, თუ ჩვენი არ გჯერა, წამოდი და ნახავ, — თან დანანებით დაატანა. — ახ, ნეტა ახლა დიდი ვიყო და თოფი მქონდეს!

— კი მაგრამ, ამ მთებში თქვენ რა საქმე გქონდათ? — შევეკითხე.

— წაბლზე წამოვედით.

— აბა, გამიძეხით წინ! — ვუთხარი ბიჭებს.

სამივენი სირბილით დავეშვით თავქვე.

ხევში ჩავედით. ცოტა ხანს შევდექი და ფერდობს ავხედე. ზემოდან ხრიალი და ლაწა-ლუწი შემომესმა. ხარმაც დაიბღავლა ერთ-ორჯერ. შემდეგ კი კლდეზე ქვიშა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხრიალით დაეშვა, მერე დიდი ქვა გადმოგორდა და კინაღამ დაგვეჯახა.

— აი, ამ ფერდობს ზემოთ არიან, — ხელით მანიშნა ედიშერმა.

— მაშ, თქვენ აქ დამიცადეთ, უკვე ვიცი სადაც არიან.

ბიჭებს შევატყე, გამოყოლა უნდოდათ და სახე მოეღრუბლათ.

— კარგი, დავიცდით! — უკმაყოფილოდ წარმოთქვეს ბოლოს.

თოფი ჩამოვიღე მხრიდან და ფერდობს შევუდექი. ზევით ავედი, ბუჩქებში გავძვერი და პატარა ბილიკით მინდორს წავადექი. წუთით შევჩერდი და აქეთ-იქით ყურება დავიწყე. ხმაური ახლა უფრო ახლოდან გავიგონე. ბოლოს, შუა მინდორზე გავედი და ბუჩქებთან, კლდის პირას, ჭონქა დავინახე, მის წინ ვეება დათვი ყალყზე შემდგარიყო. ჭონქა მთელი ძალით დაეჯახა დათვს, დათვი გადაყირავდა, მერე წამოდგა და ისევ მისკენ გაიწია. ეტყობოდა, დიდხანს ებრძოლათ; ჭონქას დაღლილობისაგან მთელი სხეული უთრთოდა, მძიმედ ხვნეშოდა, ტანი სულ დაკაწრული ჰქონდა, დრუნჩზე სისხლი ჩამოსდიოდა. ჭონქას ჯერ კიდევ შეეძლო გამკლავებოდა დათვს, მაგრამ ცბიერი ნადირი ცდილობდა კლდის პირად მიემწყვდია, მერე ერთბაშად დაძგერებოდა და კლდეზე გადაეგდო.

იმ წამსვე მინდორს ტყიდან მოვუარე, იქვე მოშორებით გავჩერდი და დათვს თოფი დავუმიზნე. თოფის ხმაზე ჭონქა შეკრთა, მაგრამ გაქცევა აღარ შეეძლო. თავი ზევით ასწია და რქებმომარჯვებული დაჭრილ ნადირს მიაშტერდა, რომელიც მწარედ ღრიალებდა. გახელებული დათვი წამოიმართა და აღარ იცოდა, ჭონქას შებრძოლებოდა თუ ჩემკენ გამოქანებულიყო. ახლა ზედიზედ ვესროლე. ნადირი ერთბაშად მაღლა შეხტა და მერე უხმოდ მიწაზე დაემხო.

ხმაურზე ბიჭებმა ყიჟინი ასტეხეს; — ისინი თურმე მალულად უკან გამომყოლოდნენ და გახარებულებმა უმალ ჩემთან მოირბინეს. ჯერ ნადირს დაუწყეს თვალიერება და მერე ჭონქას შემოეხვივნენ. ჭონქა ახლა აღარავის გაგვირბოდა, გაუნძრევლად იდგა და თვალებში შემოგვყურებდა.

— ახლა ხომ წამოხვალ, ჭონქა, სოფელში; აქ ყოფნას იქ არ გირჩევნია? — უთხრა გივიმ და რქებზე ხელი მოჰკიდა.

— რა თქმა უნდა, სოფელი ურჩევნია და წამოვა კიდეც, — დაურთო ედიშერმა და დრუნჩზე სისხლი ჩამოუწმინდა.

ჭონქა, ერთ ხანს ისევ გაუნძრევლად იდგა, მერე იქვე ჩაწვა და ხვნეშა დაიწყო.

— იქნებ შია ჩვენს ჭონქას, — წამოიძახეს ბიჭებმა, გაიქცნენ, ბალახი დაგლიჯეს და წინ დაუყარეს, მაგრამ ჭონქამ პირიც არ დააკარა.

— ვაიმე, ჭონქა ბალახს არ სჭამს, — ნაღვლიანად წამოიძახა გივიმ.

— ნუ გეშინიათ, ბიჭებო, ჭონქა დაქანცულია, თან დაკაწრული ტანი სტკივა, — ვამშვიდებდი ბიჭებს. — ნუ გეფიქრებათ. ჭონქას მე მოვუვლი, თქვენ კი სოფელში გაიქეცით, ხალხს გააგებინეთ. თოკიც წამოიღეთ.

ბიჭები ვიწრო ბილიკით მაშინვე სოფლისკენ დაეშვნენ.

დანა ამოვიღე და დათვს გატყავება დავუწყე. როცა მოვრჩი, ხორცი ნაწილ-ნაწილად დავჭერი, რომ წასაღებად უფრო ადვილი ყოფილიყო.

ბინდდებოდა, როცა ბიჭები გამოჩნდნენ. მათ რამდენიმე კაციც მოჰყვა.

— აი, თქვენი ჭონქა, მთელ წელიწადს რომ დასდევდით, ხომ ხედავთ, ჩემთან თავისი ფეხით მოვიდა და აღარ მშორდება, — სიცილით გავძახე მოსულებს.

— ახლა აღარც ჩვენ გაგვირბის, — თქვეს და პირდაპირ ჭონქასთან მივიდნენ, რქებზე თოკი მოაბეს და წამოაყენეს.

ჭონქას გაუძნელდა ფეხზე დადგომა, მაგრამ ხელი შეაშველეს და ისე გაატარ-გამოატარეს. როცა დარწმუნდნენ, რომ სიარული შეეძლო, მეზობლებმა დათვის ხორცი ტომრებში ჩაალაგეს და მხარზე გადაიკიდეს. ერთმა ჭონქას თოკში ჩაავლო ხელი, ბიჭები უკან ჩამოგვიდგნენ და სოფლისაკენ დავეშვით.

ეს ამბავი მთელმა სოფელმა გაიგო, ყველას აინტერესებდა ჭონქას ნახვა. ჭონქა ისე დაქანცულიყო, რომ რამდენიმე დღე სულ ერთთავად იწვა და საჭმელს პირს არ აკარებდა. მერე გამომჯობინება დაეტყო. ფეხზე წამოდგომა შეძლო, ბალახსაც დაუწყო ძოვა.

ერთ დღეს სოფლის შარაზე გავედი. ის იყო მოსახვევამდე მივაღწიე, რომ კოლმეურნეობის ხორბლით დატვირთული ურემი შემომხვდა.

ურემში ჭონქა იყო შებმული.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

მაყურებელთა სახელმწიფო

თეატრი

# დიდი ნაბიჯები

წლევანდელი ზაფხულის დამდეგს საბავშვო თეატრების საკავშირო დათვალიერების პირველ ორ ტურში გამარჯვებულმა თხუთმეტმა თეატრმა უფლება მოიპოვა თავისი წარმოდგენები გაემართა კრემლის თეატრის სცენაზე. ამ თხუთმეტთა შორის იყო ჩვენი — თბილისის მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრიც.

ჩვენმა თეატრმა დათვალიერებაზე წარადგინა ვახტანგ გოგოლაშვილის დრამა „წეროები“, რომელიც ორჯერ აჩვენეს კრემლის თეატრში. ხოლო სამხატვრო თეატრის ფილიალის სცენაზე, როგორც საგასტროლო წარმოდგენა, მაყურებლებმა ნახეს ალ. ყაზბეგის „ციცია“. ორივე სპექტაკლის დამდგმელი იყო თეატრის მთავარი რეჟისორი აქვსენტი გამსახურდია.

დათვალიერებაზე წარდგენილ ყველა სპექტაკლს შორის განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურა „წეროებმა“. მაყურებლებით სავსე კრემლის თეატრის დარბაზი სულგანაბული ადევნებდა თვალყურს მოქმედების განვითარებას. ხოლო წარმოდგენის დამთავრების შემდეგ ერთსულოვანი ოვაციით გამოიხატა თეატრის კოლექტივის შესანიშნავი წარმატება. ახალგაზრდა დრამატურგმა ვ. გოგოლაშვილმა შეძლო შეექმნა მშვიდობისათვის დაუცხრომელი ბრძოლის სულით გამსჭვალული, კაცობრიობის მომავალ ბედზე ჩამაფიქრებელი პიესა, რომელსაც კომპოზიტორის, მხატვრებისა და ქორეოგრაფის ნამუშევარი ერთიორად აღრმავებს და ალამაზებს. დამდგმელს, რესპუბლიკის დამსახურებულ მოღვაწეს ა. გამსახურდიას ძალ-ღონე არ დაუშურებია სპექტაკლის მაღალხარისხოვნებისათვის. სპექტაკლის გამარჯვებაში უდიდესი წვლილი შეიტანეს წარმოდგენის მონაწილე მსახიობებმა ლ. ძიგრაშვილმა, ე. სიხარულიძემ, ო. სეთურიძემ, ნ. ცერცვაძემ, რ. ბარამიძემ და სხვებმა.

აღფრთოვანებული ნორჩი მაყურებლები სიყვარულით გვეპატიჟებოდნენ თავიანთ სკოლებში, აწყობდნენ ჩვენთან შეხვედრებს. დაუვიწყარია მოსკოვის 564-ე სკოლის მოსწავლეებთან შეხვედრა. სკოლაში შესვლისთანავე ჩვენი ყურადღება მიიპყრო კედლის გაზეთმა, სადაც პიონერებს წერილები მოეთავსებინათ „წეროების“ შესახებ. იქვე იყო დიდი სიყვარულითა და მონდომებით დახატული პიესის გმირები. ჩანდა, რომ ამ წერილების და ნახატების ავტორებს ღრმად განეცადათ პატარა იციკოს მწარე ხვედრი, მისი დედის უმწეო მდგომარეობა, დედისა, რომლის თვალწინ თანდათან ქრებოდა მისი ერთადერთი გოგონას სიცოცხლე.

შემდეგ პიონერებმა თავიანთი თვითშემოქმედება გვიჩვენეს და როცა სცენაზე გამოსულმა რუსმა ბავშვებმა „ციცინათელა“ იმღერეს, მათ პარტერიდან ჩვენი თეატრის წარმომადგენლებიც აჰყვნენ და შეხვედრა ნამდვილ ზეიმად გადაიქცა.

ბაბუშკინოს სკოლაში კი პირდაპირ გაგვაოცა რუსი ბავშვების მიერ ქართული ცეკვების დაუფლებამ. თურმე ამ სკოლაში ჩამოყალიბებული ყოფილა ქართული ცეკვების ანსამბლი. ამ ანსამბლმა თავისი ოსტატობით ჭეშმარიტი სიამოვნება მოგვანიჭა.

ახლა, მოსკოვში ჩვენი თეატრის ტრიუმფალურ დღეებს რომ ვიხსენებ, უნებურად მაგონდება 1928 წელი. ამ წელს ჩაეყარა საფუძველი თბილისის მოზარდ მაყურებელთა ქართულ თეატრს. იმ დროისათვის თეატრს არ გააჩნდა საკუთარი შენობა. ჩვენ — საბავშვო თეატრის დაარსების ახალგაზრდა ენთუზიასტები — რეპეტიციებს გავდიოდით კონსერვატორიის შენობაში, კარლ მარქსის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკაში, წითელი არმიის სახლში, მასწავლებელთა სახლში და ზოგჯერ ჩვენი მასწავლებლის ალექსანდრე თაყაიშვილის ბინაზეც.




შემდეგ საკუთარი შენობაც მივიღეთ, მაგრამ იგი მეტად მცირე მოცულობისა იყო — სულ 150 სკამს იტევდა. ჩვენ მაინც დიდი მღელვარებითა და პასუხისმგებლობის გრძნობით მოვამზადეთ პირველი წარმოდგენა. გულისფანცქალით გავხსენით პირველად ფარდა ჩვენს საკუთარ თეატრში. ფარდის ახდამდე ჩაბნელებულ დარბაზში სამარისებური სიჩუმე სუფევდა, გვიხაროდა მსახიობებს, რომ მაყურებელი უხმაუროდ გვხვდებოდა. თურმე ნუ იტყვით, მთელ დარბაზში მხოლოდ ორად-ორი ბავშვი იყო. მაგრამ არც ერთ ჩვენგანს არ ჩაუქნევია ხელი უიმედოდ, პირიქით — სულ წინ მივილტვოდით.

გავიდა წლები. მშობლიური პარტიისა და ხელისუფლების შეუნელებელი ზრუნვის შედეგად თბილისის მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრი თანდათან გაიფურჩქნა და გაიზარდა. თეატრმა შესაფერი შენობა მიიღო, მოვიდნენ ნიჭიერი კადრები, რომელთაც მთელი თავიანთი უნარი და ენერგია მოზარდი თაობისადმი სამსახურს მოახმარეს.

მახსოვს, ერთ-ერთი მაყურებელი, დიდი სამამულო ომის გმირი, გვიყვებოდა, თუ როგორ იგონებდა იგი ფრონტზე ჩვენი თეატრის სპექტაკლებს, რომლებიც მის გულში მამაცობასა და სამშობლოსათვის თავდადების გრძნობას ნერგავდნენ. ბევრი ჩვენი თეატრის ყოფილი მაყურებელი დღეს კომუნიზმის მშენებლობის სხვადასხვა უბანზე მუშაობს, კვლავ ხალისით მოდის მოზარდ მაყურებელთა თეატრში და მას სიყვარულით კვლავ „ჩვენს თეატრს“ ეძახის.

თბილისის მოზარდ მაყურებელთა თეატრის კოლექტივის დაუღალავი მუშაობა, მოზარდი თაობისადმი უანგარო სიყვარული საწინდარია იმისა, რომ ჩვენი მაყურებელი იხილავს კიდევ უფრო მაღალხარისხოვან, იდეურად და მხატვრულად სრულყოფილ სპექტაკლებს.

**გოგუცა კუპრაშვილი,**
რესპუბლიკის სახალხო არტისტი

ეროვნული ბიბლიოთეკა



# მზიურას სიზმარი

პიესა 2 მოქმედებად

## მოქმედი პირნი

ნათელა
ნათელას დედა
ნათელას დიდედა
მზიურა
ფისო
ბროლია
ლომი
მგელი
დათვი
მელა
კურდღელი
მოხუცი ქალი

რ. ლეჟავა

ნახ. თ. სამსონაძისა

## I მოქმედება

### პირველი სურათი

(ჩვეულებრივი ოთახი, ოთახში პიანინო დგას. პიანინოსთან ნათელა ზის და ქვითინებს. ნათელას თავზე ადგას დედა, ხელში საჩვენებელი პატარა ჯოხი უჭირავს. სავარძელში დიდედა ზის და წინდას ქსოვს).

დ ე დ ა — (გულმოსულად) დაუკრავ თუ არა?

ნ ა თ ე ლ ა — (სლუკუნით) დავუკრავ, მხოლოდ გამები არ მინდა.

დ ე დ ა — (საჩვენებელ ჯოხს ხელზე მსუბუქად დაჰკრავს) აბა, დაიწყე, მე შენ არ გეკითხები, რა გიყვარს და რა არ გიყვარს.

ნ ა თ ე ლ ა — (ცრემლს იწმენდს) არ დავუკრავ, არა! არ მიყვარს მუსიკა (დიდედას გადახედავს, თითქოს შველას თხოვს. მეზობელ ოთახში ზარი აწკრიალდება. დედა გადის. დიდედა სათვალის ზემოდან გამოხედავს ნათელას, მიდის მასთან და თავზე ხელს გადაუსვამს).

დ ი დ ე დ ა — ჩემო ცუგრუმელავ, გინდა, ზღაპარი გიამბო?

ნ ა თ ე ლ ა — (ცრემლიან თვალებს თითებით იხრეხს) მინდა.

დ ი დ ე დ ა — (ჯდება სავარძელში და ნათელას მუხლებზე დაისვამს).

ერთ ქალაქში ერთი პატარა გოგონა ცხოვრობდა, ფერისებრ გამგონე და დამჯერე, ცქრიალა და მხიარული. გოგონა ყველას უყვარდა — ადამიანებსაც და ცხოველებსაც. მისი ღიმილი მზესა და ელფერს მატებდა ყოველივეს, ამიტომ გოგონას მზიურა უწოდეს სახელად. მზიურა დედას ოთახების დალაგებაში შველოდა. სამუშაოდან დაბრუნებულ მამას საშინაო ფეხსაცმელსა და ქოშებს მიაწოდებდა, დიდედას მწვანილს გაურეცხავდა, ბრინჯს გაურჩევდა...

ნ ა თ ე ლ ა — მერე რა, მეც ხომ ყველაფერში გეხმარები დიდედა!

დ ი დ ე დ ა — შო! რა თქმა უნდა. მზიურა სკოლაშიც ბეჯითად და მუყაითად სწავლობდა, მუსიკა უყვარდა... სადაც არ უნდა გამოჩენილიყო გოგონა, ყველგან აიხარული და მხიარულება მიჰქონდა. იცი, ჩემო გვრიტო, როგორ ქლერდა მზიურას სალამური?.. (წინა პლანი თანდათან ბნელდება, იხსნება ფარდა).

### მეორე სურათი

(ოთახი. ღია ფანჯარა. მოჩანს ყვავილები, პიანინო, ტახტი, ტახტს ხელით ნაქარგი ხალიჩა აქვს გადაფარებული. შემორბის ფისო, უკან ბროლია მოსდევს).

ფ ი ს ო — მიაააუ, მიაააუ... (ფანჯრის რაფაზე ახტება), აი, თუ გინდა ვნახოთ, მზიურა პირველად ჩემთვის დაუკრ_ს.

ბ რ ო ლ ი ა — ჰამ, ჰამ, არაფერიც.

ფ ი ს ო — ტუტუცო, რა შენი საქმეა მუსიკა, შენ სმენაც კი არა გაქვს.

ბ რ ო ლ ი ა — რას ჰქვია, სმენა არა მაქვს თუ ჩვენ არა, აბა ვინ შეიძლებდა გამხდარიყო საბაბი დიდებული ვალსის შექმნისა? განა თქვენ, უბადრუკ კატუნიებს, შეგიძლიათ შთააგონოთ ადამიანებს მუსიკის შეთხზვა?

ფ ი ს ო — შა, შა, შა, რას მიედ-მოედები! შენ გინდა დამარწმუნო, რომ ადამიანებმა ძაღლებზე მუსიკა დაწერეს!

ბ რ ო ლ ი ა — (ნიშნის მოგებით) დიახაც! მერე და, რომ იცოდე რა მუსიკაა! ვალსი, ნამდვილი ვალსი, გესმის?

ფ ი ს ო — არა მჯერა, არავითარ შემთხვევაში არა მჯერა.

ბ რ ო ლ ი ა — პატიოსან სიტყვას გაძლევ!

ფ ი ს ო — (იჭვიანად) მერე და, რა ჰქვია იმ ვალსს?

ბ რ ო ლ ი ა — (კუდის ქიცინით) იმ ვალსს, ჩემო კარგო, ეწოდება „ძაღლების ვალსი", და რომ იცოდე, რა მუსიკაა, აი.. (მოტივს მღერის და ტრიალებს).

ფ ი ს ო — ვაიმე დედა, ვაი დედა! (მუცელზე ხელს იკიდებს) „ძაღლების ვალსი"! ასე ჩვენზეც ამბობენ, „კატების კონცერტიო", დაგვცინიან. ჩვენ, კატები, ასეთ მუსიკაზე უნიჭო ვირთხებსაც კი არ ვაცეკვებდით.

ბ რ ო ლ ი ა—შამ, შამ, (კატას კუდში წაავლებს პირს და ქვემოთ ეწევა).

ფ ი ხ ო—(ტირილით) ვაი დედა, მზიურა, მიშველე... (ძაღლს გაუსხლტება და ტახტზე შეხტება).

ბ რ ო ლ ი ა—ჩუმად! (ქუჩიდან ისმის მხიარული მუსიკა).

ფ ი ხ ო—მზიურა მოდის,--ახლავე ვეტყვი ყველაფერს.

ბ რ ო ლ ი ა—(ეფერება) კარგი, რა მოხდა ერთხელ მაპატიე, პატიოსან სიტყვას გაძლევ, რომ მეტს აღარ გაწყენინებ.

ფ ი ხ ო—კარგი, მაშ აღარ შევჩივლებ მზიურას (პიანინოსთან ჯდება და თვალებს იწმენდს, შემოდის მზიურა, ხალამურს უკრავს).

მ ზ ი უ რ ა—(ორივეს გადახედავს). ჩემო ფიხო, შენ კიდევ გაწყენინა ბროლიამ?

ფ ი ხ ო—(მიუახლოვდება მზიურას) არა, ბროლიამ პირობა მომცა, რომ არასოდეს არ მაწყენინებს. (მზიურას ეჩურჩულება) მართალი მითხარი, ხომ არ არსებობს „ძაღლების ვალსი"?

ბ რ ო ლ ი ა—(ოდნავ ბარბაცებს) შენც რა მოცეკვავე ყოფილხარ! შენ მხოლოდ მკვდარ თაგვებზე ნადირობა შეგიძლია.

ფ ი ხ ო—გადავწყვიტე, არასოდეს არ ვიცეკვო „ძაღლების ვალსი". საშინელი რამ ყოფილა. მზიურა! შენი ჭირიმე, მითხარი, აი, ჩვენზე, კატებზე, ნუთუ არავის არ დაუწერია მუსიკალური ნაწარმოები?

მ ზ ი უ რ ა—როგორ არა, ჩემო ფიხო, აი, ახლავე მოგასმენინებ მშვენიერ მელოდიას, მას სახელად ეწოდება „ფიხო კლავიშებზე დადის".

ფ ი ხ ო—უშ! ეს ნამდვილად კარგი რამ იქნება (იმეორებს) „ფიხო კლავიშებზე დადის". (მზიურა უკრავს).

ფ ი ხ ო—აი, ეს ჩინებული მუსიკაა. ხულს ამშვიდებს, ნერვებს აწყნარებს. (ოთახში შემოდის მოხუცი ქალი).



მ ზ ი უ რ ა—როგორ არ არსებობს! აი, ახლავე დავუკრავ. (მზიურა უკრავს, ბროლია მხიარულად შეეფს და ტრიალებს).

ფ ი ხ ო--რა კარგი ყოფილა „ძაღლების ვალსი"! შეიძლება მეც ვიცეკვო?

ბ რ ო ლ ი ა—(ამაყად) რა თქმა უნდა, შეიძლება; ამ მუსიკაზე ადამიანებიც კი ცეკვავენ. (უახლოვდება ფიხოს, რევერანსს უკეთებს და თათს უწვდის) გთხოვთ. (ფიხო ჯაჭყვება საცეკვაოდ და ორივენი ცეკვავენ).

ფ ი ხ ო—(ცოტა ხნის შემდეგ) სრულიადაც არ მომწონს თქვენი ვალსი, შემაჩერე როგორმე, ღვთის გულისათვის, შემაჩერე, ყველაფერი ბრუნავს. თავბრუ მეხვევა...

ბ რ ო ლ ი ა—რა მოგივიდა, რა გაყვირებს! გაჩერება არ შეიძლება, სანამ მუსიკა არ შეწყდება. იცეკვე!

ფ ი ხ ო—(ყვირილს უმატებს) შემაჩერეთ, მიშველეთ!. (მზიურა შეწყვეტს დაკვრას).

მ ო ხ უ ც ი ქ ა ლ ი—შვილო! ძლიერ დაღლილი ვარ, ცოტა ხანს ჩამოვჯდები, სული მოვითქვა, ფეხზე კანი გადამეგლიჯა, სიარული აღარ შემიძლიან. მრავალძარღვას ფოთოლს ვეძებდი, მთელი ტყე და ღრე შემოვიარე, ვერსად ვიპოვე, დავიქანცე.

მ ზ ი უ რ ა—დაბრძანდით, ბებიკო! (მოხუცი ჯდება), წყალი მოგართვათ?

ფ ი ხ ო—იქნებ საჭმელი ინებოთ რაიმე.

მ ო ხ უ ც ი—გმადლობთ, ჩემო კეთილებო, დიდად გმადლობთ.

მ ზ ი უ რ ა—ნუ სწუხხართ, ბები, მე წავალ და მრავალძარღვას ფოთლებს მოგიტანთ. (ფიხოს და ბროლიას) თქვენ იცით, როგორ მიუვლით ბებიკოს!

მ ო ხ უ ც ი—შვილო, ნუ წახვალ, შენი ჭირიმე. მე დიდ ხანს ვეძებე, მაგრამ ამაოდ.

მ ზ ი უ რ ა—(ღიმილით) უეჭველად ვიპოვი, აი, ნახავთ, თუ არ მოვიტანო.

მ ო ხ უ ც ი—შორს ნუ წახვალ, შვილო, ფრთხილად იყავი, არ დაიგვიანო.

მ ზ ი უ რ ა—ნუ გეშინიათ, ბები!

მ ო ს უ ც ი—ჩქარა დაბრუნდი, შვილო. (მზიურა გადის).

ფარდა

## II მოქმედება

### პირველი სურათი

(გაშლილი მინდორი. ისმის ჩიტების ჭიკჭიკი და გალობა, ირგვლივ ყვავილები და მობიბინე ბალახია. შემოდის მზიურა კალათით ხელში).

მ ზ ი უ რ ა—(დამწუხრებული) რამდენი ხანია ტყეში დავხეტიალობ, სად არ ვიყავი, მაგრამ მრავალძარღვა ვერსად ვერ ვნახე. როგორ დავბრუნდე შინ. რა ვუთხრა ბებიკოს? (გვერდზე მიიხედავს და აღტაცებული შეჰყვირებს). მრავალძარღვა! (კრეფს და კალათში ყრის) რა კარგია, რომ შინ ხელცარიელი არ დავბრუნდები, როგორ ვასიამოვნებ ჩვენს მოხუც სტუმარს! (მღერის. ბინდდება. მზიურა სიმღერით გადის ფარდის უკან. შემოდის დათვი, თათში მომწყვდეული ყავს მოზუზუნე ფუტკარი).

დ ა თ ვ ი—(ყირაზე გადადის და მუცელზე თათებს იცემს). იფ, იფ, რა გემრიელი თაფლი იყო! აფსუს, ბევრის შესანსვლა ვერ მოვახწარი. (ფუტკარს). ხედავ, მუცელი ნახევრად ცარიელი მაქვს, შიგ რამდენი თაფლი ჩაეტეოდა, შაი დედასა! მე შენ გიჩვენებ სეირს. ფუი, ეშმაკმა დალახვროს, თქვენი ზუილი ახლაც ყურებში მიდგას (ხეს ეხახუნება და ტანს იფხანს. უსმენს). ვიღაც მღერის (ტყის სიღრმეში იცქირება) გოგონაა! რა ლამაზია! (ხის უკან იმალება. შემოდის მზიურა).

მ ზ ი უ რ ა—კმარა, უკვე გავავსე კალათა. თანაც ღამდება, სახლში წასვლის დროა. (მღერის და გასასვლელისაკენ მიეშურება. უცბად ირგვლივ ღმუილი გაისმის. სხვადასხვა მხრიდან შემორბიან მგელი, ლომი და მელა. მზიურასაკენ იწევენ. ხის უკან დათვი შიშით კანკალებს. ხმაურზე კურდღელმაც მოირბინა).

ზ ი უ რ ა—(შეშინებული) ვაი დედაა!.. (კალათა ხელიდან უვარდება, მრავალძარღვას ფოთლები ძირს იფანტება. მზიურას სურს გაიქცეს, მაგრამ ყოველ მხრიდან ნადირები თვალებს უბრიალებენ, წკმუტუნებენ, ღმუიან; მზიურა კანკალებს, ტირის).

ლ ო მ ი—აბა, ყველანი ჩამოეცალეთ! კენჭისყრით ეგ გოგონა მარტო მე შემხვდა წილად. ანე რომ, მხოლოდ ჩემი ლუკმაა (ბრდღვინავს).

მ გ ე ლ ი—არაფერიც! აფრიკაში, რა თქმა უნდა, მთლიანად შენ შეგხვდებოდა წილად. აქ კი შენ სტუმარი ხარ და შენს განკარგულებებს ჩვენ არ დავემორჩილებით. შენ მხოლოდ ნახევარს დაგითმობთ, ისიც ბევრია შენთვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ლ ო მ ი—(ბრდღვინავს) ხმა გაკმინდეთ, გოგონა სულ ჩემია.

მ ე ლ ა—(ცბიერად) ერთ ბარკალს თუ მიწყალობებ, მე შენ მხარს დაგიჭერ.

დ ა თ ვ ი—(გამოდის) რა ამბავია! ამ არემარეზე ბატონ-პატრონი მე გახლავართ, დიახ!

ლ ო მ ი—ნეტავი ეგ ვინაა, ხა, ხა, ხა... (იცინის) ერთი ამას დამიხედეთ, კიდეც რომ გვაშინებს და გვემუქრება. შენ, შვილოსა, ჯერ ცოტა წამოიზარდე და ჩვენკენ მერე წამოიწიე (შეშინებული დათვი უკან იხევს).

მ გ ე ლ ი—ნუ ჩქარობ, ძამიკო, მართლაც ცოტა გაზრდა გაკლია. (მზიურას მოაგონდება თავისი სალამური, ამოიღებს ჯიბიდან და სევდიან მელოდიას უკრავს. ნადირები დავას წყვეტენ და გოგონას თვინიერი თვალებით მიაჩერდებიან. გაოცებული მზიურა წუთით შეჩერდება, შემდეგ კი მხიარულად აამღერებს სალამურს. მხეცები აცქმუტდებიან).

ლ ო მ ი—გეთაყვა, ერთი ტუში დაუკარი, რაღაც კარგ ხასიათზე დავდექი.

მ გ ე ლ ი—მე კი ფეხებს ველარ ვიმაგრებ ადგილზე, სახქაროდ ლეკური დაუკარი, ზმაგიანი ლეკური, (ცეკვავს).

მ ე ლ ა—„ხევსურული“, შენი ჭირიმე, თავბრუდამხვევი „ხევსურული“. დაუკარი, ჩქარა, თორემ მოთმინება აღარ მყოფნის (ცეკვავს).

დ ა თ ვ ი—თქვენს გემოვნებას რა ვუთხარი! თქვენ რა გესმით მუსიკის. მე ყველას მირჩევნია ნარნარი „უზუნდარა“, აბა, დაუკარი! (კოტრიალობს და ხითხითებს, მზიურა რიგრიგობით უკრავს ყველა მოტივზე. მხეცები თავბრუდამხვევად ტრიალებენ და რიგრიგობით ცეკვავენ, ვინ კ რა შეუკვეთა.

კ უ რ დ ღ ე ლ ი—იცი, რა დაუკარი? (ჩაფიქრდება). მოდი ‚აჭარული“ დაუკარი (მზიურა უკრავს ყველა თავისებურ.დ სასაცილოდ ცეკვავს).

მ ზ ი უ რ ა—გეყოფათ, ჩემო კარგებო, შინ უნდა წავიდე, თორემ ძალზე დამაგვიანდა, ავადმყოფი ბებიკო მელოდება, მრავალძარღვა უნდა მივუტანო.

ლ ო მ ი—გოგონი! შენ დაუკარი, ჩვენ კი მრავალძარღვას მოგიგროვებთ. კარგი?

მ ზ ი უ რ ა—კარგი, დავუკრავ, რას ისურვებთ?

დ ა თ ვ ი—აი, ის დაუკარი, მე რომ მიყვარს, იცი, რა? (ფიქრობს და ყურებს იქექავს) არც კი მახსოვს რა ჰქვია.

მ ე ლ ა—ისეთი რამ დაუკარ, რომ ვიმღეროთ.

მ გ ე ლ ი—ჰო. კარგი იქნება, ვიმღეროთ რამე. (მზიურა „სალამუროს“ უკრავს. ნადირები დაპნეულ მრავალძარღვას მკრეფენ, კალათაში აგროვებენ, კურდღელი სოლოს მღერის, შემდეგ ყველანი აჰყვებიან და მღერიან).

მ ზ ი უ რ ა—ახლა კი წავალ ნახვამდის! (ემშვიდობება).

მ ხ ე ც ე ბ ი—(ერთხმად) ცოტაც მოიცადე, რა იქნება (მხეცები ხადლაც გარბიან, მზიურა კალათს იღებს. მხეცები კვლავ შემოდიან).

ლ ო მ ი—(მზიურას მაყვლის ტოტს აწვდის) ეს ჩემგან წაიღე, ჩემო კარგო.

მ გ ე ლ ი—ესეც კიდევ, შენთვის დავკრიფე ჩემო გოგონავ! (ყვავილების კონას აწოდებს).

კ უ რ დ ღ ე ლ ი—ეს გემრიელი სტაფილო ჩემგან წაიღე და ჩაახრამუნე.

დ ა თ ვ ი—მე! მე რაღა გისახსოვრო. ვერაფერი ვ;რ გამოვნახე, რა ძნელად მოვიფიქრებ ხოლმე, ჰო, მართლა, ახლა მომაგონდა (თათებიდან ფუტკარს აამოიყვანს და მზიურას გადასცემს).

მ ზ ი უ რ ა—გმადლობთ, ჩემო მეგობრებო. დათუნია, რაკი შენ ფუტკარი მაჩუქე, მე მას თავისუფლებას ვაჩუქებ, დაე ინავარდოს (ფუტკარი გაფრინდება).

მ ე ლ ა—ჩემო კუდრაჭავ, გზაზე ისიამოვნე, (ყურძნის მტევანს უდებს კალათში)

მ ზ ი უ რ ა—უი, რამდენი რამ დამიგროვდა. მშვიდობით, კარგად იყავით! (მადლობის ნიშნად მხიარულ მუსიკას უკრავს).

ლ ო მ ი—მშვიდობით კი არა, ნახვამდის.

კ უ რ დ ღ ე ლ ი—კიდევ მოხვალ ჩვენთან?

მ ზ ი უ რ ა—აუცილებლად მოვალ, აუცილებლად! ხვალვე. (მხეცები სიხარულისაგან კუნტრუშობენ).

## ფარდა

## მეორე სურათი

(ნათდება სცენის წინა ნაწილი. დიდედა და ნათელა ისევე სხედან, როგორც პირველ მოქმედებაში).

დ ი დ ე დ ა—ნახე, ჩემო საყვარელო, როგორ იხსნა მუსიკამ განსაცდელისაგან მზიურა? შემდეგშიც ყველანი ამ გოგონას მამაცობასა და კეთილ საქმეზე ლაპარაკობდნენ.

(ნათელა ერთ ხანს უხმოდ და უძრავად ზის, შემდეგ დიდედას მუხლებიდან ჩამოხტება, პიანინოს მიუჯდება და გამებს უკრავს. შემოდის დედა და განცვიფრებული უყურებს ნათელას.

## ფარდა





## ჩვენი კულტურის ძეგლები

# უფლისციხე

თბილისიდან დასავლეთით რომ მიდიხარ, გორის მისადგომებთან, მატარებლის ფანჯრიდან კარგად მოჩანს კლდეში ნაკვეთი ქალაქი, საცხოვრებელი სახლებითა და დიდი ციხე-სიმაგრის ნაშთებით. ეს უფლისციხეა — ძველი ქართული კულტურის ერთ-ერთი თვალსაჩინო ძეგლი.

უფლისციხის შესახებ მრავალი საინტერესო მოსაზრებაა გამოთქმული, უმეტესობა მას ანტიკური ხანის ძეგლად თვლის, რაც სინამდვილესთან ახლოს უნდა იყოს.

მიუხედავად იმისა, რომ უფლისციხის შესახებ მრავალი წყარო არსებობს, ამ ძეგლის საბოლოო შესწავლა მაინც არქეოლოგიურ გათხრებზეა დამოკიდებული. წერილობითი წყაროებიდან კი უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია მეშვიდე საუკუნის ძეგლი „მოქცევაი ქართლისაი“. „მოქცევაი ქართლისაის“ ავტორი, ჩვენთვის უცნობ წყაროებზე დაყრდნობით, ამტკიცებს, რომ უფლისციხე, ანტიკურ ხანაში შიდა ქართლის ცენტრი ყოფილა. ამ ცნობასა და მრავალ სხვა ისტორიულ მასალათა მოშველიებით პროფ. მელიქიშვილმა გააკეთა დასკვნა, რომ ანტიკურ ხანაში სწორედ უფლისციხე იყო ქართლის ცენტრი და არა მცხეთა, როგორც ეს შეცდომით მითითებული აქვს მეთერთმეტე საუკუნის ქართველ ისტორიკოსს ლეონტი მროველს.

1957 წელს უფლისციხეში პროფ. ამირანაშვილის ხელმძღვანელობით

ეროვნული ბიბლიოთეკა

არქეოლოგიური გათხრები დაიწყო არა მარტო კლდეების ტერიტორიაზე, იქ სადაც ახლა უფლისციხეა, არამედ მის დასავლეთით 3-4 კილომეტრის დაშორებითაც ე. წ. ყათლანის ხევის მიდამოებში, სადაც ერთი მოზრდილი ბორცვია. რათ დასჭირდათ არქეოლოგებს ციხიდან ასე დაშორებულ ბორცვის გათხრა? საქმე იმაშია, რომ სხვა არქეოლოგიურმა გათხრებმა არა ერთხელ დაადასტურეს, რომ ჩვენი წინაპრები, ჩვენს წელთაღრიცხვამდე ორი ათასეული წლის წინათ, ამგვარ ბორცვებზე და მის მიდამოებში ცხოვრობდნენ ხოლმე. ასეთ ბორცვებზე იქმნებოდა დასახლებული პუნქტები, თავისი ციხე-სიმაგრეებით. ეს ციხე-სიმაგრეები მდიდრებს ეკავათ, ღარიბები კი ბორცვის ირგვლივ სახლდებოდნენ. ეს დასახლებული პუნქტები დაბებად ვერ გადაიქცა, რადგან დაბებს ესაჭიროებოდა სახელოსნოები, სოფლის მეურნეობა, სახნავ-სათესი, ნოყიერი ნიადაგი, ამასთან დაბები კეთილმოწყობილი გზებით უნდა ყოფილიყო დაკავშირებული გარემოსთან და ბოლოს, რაც მთავარია, ადგილმდებარეობა ისეთი უნდა ჰქონოდათ, რომ მათი სიმაგრეე-



## იუმორი

### საპნებით მოვაჭრე

**მუშტარი:** რად სტირი, ბიჭუნავ?

**მოვაჭრის ვაჟი:** მამაჩემი ახალ-ახალი მარკის საპნებს ჰყიდის, მუშტარი რომ მოვა, თავსა მბანს ხოლმე წარა-მარა იმ საპნებით — ასე უნდა ვეჩვენო მუშტარს..

### საათი რომელიც არ მუშაობს

— ჰენრი, — უთხრა დედამ თავის მეუღლეს, — არ ვიცი, რა დაემართა ჩვენს საათს, ნახე ერთი, რატომ არ მუშაობს!

მეუღლემ აიღო საათი, მოხსნა ისრები და ციფერბლატი, გამადიდებელი შუშით ყურადღებით დაათვალიერა საათი, გაწმინდა, გაზეთა, ერთი სიტყვით, ყველაფერი გააკეთა, რაც კი შეეძლო, მაგრამ საათი მაინც არ ამუშავდა. დაღლილი, გაოფლიანებული ლოგინში ჩაწვა.

დილით ცოლმა უთხრა: — ჰენრი, მე ვიცი, რატომ არ მუშაობს ჩვენი საათი.

— რატომ?

— რატომ და, დასაქოქია.

### რეცეპტი კარზე

კაცი ავად შეიქმნა და ექიმი გამოიძახეს. მოვიდა ექიმი, ავადმყოფი გასინჯა და რეცეპტის დასაწერად ქაღალდი, მელანი და კალმისტარი მოითხოვა.

დიასახლისს არც ერთი არ აღმოაჩნდა შინ და მეზობლებში გავიდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბად გადაქცევა იოლი ყოფილიყო. ყველა ამ მოთხოვნას ყათლანის ხევის ბორცვი ვერ პასუხობდა და ამიტომ იგი ქალაქად ვერ გადიქცა. სამაგიეროდ, ამ მოთხოვნას კარგად უპასუხებდა ის მიდამო სადაც ახლა უფლისციხის ნანგრევებია და სწორედ იგი გადაიქცა დიდ დასახლებულ პუნქტად და შემდგომ კი ქალაქად. ეს, როგორც ჩანს, ჩვენს ერამდე VI-VII საუკუნეებში უნდა მომხდარიყო.

ეს ქალაქი რომ დიდი და კეთილმოწყობილი იყო, ცხადად დასტურდება იმით, რომ, სადაც კი არქეოლოგებმა ბარი დაჰკრეს, თითქმის ყველგან აღმოჩნდა სახლების ნაშთები, კერამიკა, სხვადასხვა ფორმისა და ფერის ჭურჭლეულობა და ბევრი შემოტანილი ნივთიც. ეს კი თავის მხრივ იმაზე ლაპარაკობს, რომ უფლისციხეს სავაჭრო ურთიერთობა ჰქონია უცხოეთის ქვეყნებთან.

უფლისციხე, როგორც დღევანდელ ქალაქებშია ხოლმე, შუაზე გაყოფილი იყო ერთი ცენტრალური ქუჩით, რომელიც ორ ნაწილად ჰყოფდა ქალაქს: მთავარი ქუჩის ორივე მხარეს განლაგებული იყო გამოქვაბულები, რომლებიც მთავარ ქუჩას პატარა ქუჩებით უერთდებოდა. ქალაქს გარს უვლიდა კლდეში ღრმად გაჭრილი თხრილი. ამ თხრილს კი მთელ სიგრძეზე მიჰყვებოდა, ოთხი მეტრის სიმაღლის ქვის კედელი. იგი ქვისა და ალიზის აგურისაგან იყო ნაგები. კედელს რომ მეტი სიმტკიცე ჰქონოდა, ქვები ერთმანეთზე მიდგმული იყო ეგრეთწოდებული „მერცხლისკუდა" გადაბმით. კედელში ჩატანებული იყო სათვალთვალო კოშკები, რომლებიც კრამიტით იყო დახურული.

მტრის შემოსევის დროს ქალაქის წყლით მომარაგება დიდი გვირაბით ხდებოდა, რომელიც მტკვრის ნაპირამდე ჩადიოდა. უფლისციხის ტერიტორიაზე ერთ ადგილას კლდეში ნაკვეთი ქუჩა იყო, რომელიც ახლაც კარგად არის შემონახული. ეს „კლდეკარი" იყო სწორედ იმ დიდი გზის ნაწილი, რომელიც ქალაქში შემოდიოდა და აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქვეყნებს აკავშირებდა ერთმანეთთან.

უფლისციხე ერთ-ერთი კეთილმოწყობილი და მოზრდილი ქალაქი ყოფილა, რომლის მსგავსი ცოტა თუ მოიძებნებოდა იმდროინდელ მსოფლიოში. ამასვე ადასტურებს ერთი უცხოელი ისტორიკოსი, როდესაც ამბობს: „საქართველოში ბევრია ქალაქები და დიდებულნიო".

შეიძლება დაგებადოთ კითხვა: იმ პრიმიტიული ტექნიკის პირობებში, ჩვენმა წინაპრებმა როგორ მოახერხეს კლდეში, ასეთი გრანდიოზული ქალაქის აშენება? ისეთი შრომატევადი და მძიმე სამუშაო როგორიცაა კლდეში ქალაქის აგება, მხოლოდ და მხოლოდ იაფი, მონური შრომით თუ შეიძლებოდა. უფლისციხის შესწავლამ მეცნიერები დაარწმუნა, რომ ისიც მონური შრომით ყოფილა აგებული. ეს მით უფრო საინტერესოა, რომ მონური შრომით აგებული ქალაქები საქართველოში არც ისე ბევრია.

უფლისციხეში შუა საუკუნეებშიც არ შეწყვეტილა ცხოვრება. უფლისციხის ყველაზე დიდ და ლამაზ გამოქვაბულს „თამარის დარბაზს" უწოდებენ. მრავალი ცნობაა დაცული, საიდანაც ირკვევა, რომ თამარ მეფე ხშირად ისვენებდა ხოლმე უფლისციხეში. მის დროს უფლისციხეში ბევრი რამ აშენებულა და ბევრი რამეც გადაკეთებულა.

უფლისციხის შესწავლა ჯერ დამთავრებული არ არის. გათხრები დღესაც გრძელდება და ვინ იცის





ჩვენი ქვეყნის ისტორიის რამდენი საინტერესო და ახალი ფურცელი გადაიშლება, როდესაც საფუძვლიანად იქნება შესწავლილი ეს უნიკალური ციხე-ქალაქი.

**ა. ჩხარტიშვილი,**

ხელოვნების მუზეუმის უმცროსი მეცნიერ მუშაკი.

საშოვნელად. ექიმი კარგა ხანს ელოდა დიასახლისს, ბოლოს, როდესაც ლოდინით მოიქანცა, აიღო ნახშირი და კარზე დაწერა რეცეპტი.

სამწუხაროდ იმ სახლში არავინ იცოდა ლათინური. სხვა გზა არ იყო, წამლის დასამზადებლად კარი აფთიაქში უნდა წაეღოთ.

ასეც მოიქცნენ, ჩამოხსნეს კარი.

ინგლისურიდან თარგმნა
თამარ სულხანიშვილმა.



* * *

— რატომ დაგტოვა მასწავლებელმა გაკვეთილების შემდეგ კლასში? — ჰკითხა ფრიცს უფროსმა ძმამ.

— შემეკითხა, სად არის ფილიპინებიო, მე კი არ ვიცოდი.

— ამის შემდეგ კარგად დაიხსომე ხოლმე, სად რას დასდებ.

* * *

მასწავლებელი: აბა, ჰანს, რა შეკითხვა გაქვს შენ?

ჰანსი: პატივცემულო მასწავლებელო, ჩემთვის გასაგებია, თუ როგორ აღმოაჩინეს ასტრონომებმა პლანეტები, მხოლოდ არ მესმის, როგორ მოახერხეს მათი სახელების გაგება.

გერმანულიდან თარგმნა
ხ. გელაშვილმა

# ბიჭი

მარტი ლარნი

ნახ. ი. კარაჩენცოვისა

ფინელი მწერალი

მ ო თ ხ რ ო ბ ა

ბიჭუნა სკამზე ჩამოჯდა და ხრეშით დაფარულ ბილიკზე გადააპურჭყა. გულზე კვლავ მოაწვა რაღაც უსიამოვნო გრძნობა. ხელის ზურგით შუბლი მოიწმინდა, კეპი თვალებზე ჩამოიფხატა და ოხვრას მოჰყვა. ცხოვრება მას უაზრო ლატარეად ეჩვენებოდა, რომელიც სავსე იყო უთანხმოებით, ლანძღვა-გინებითა და საზიზღარი ბოროტებით. იგი ახლახან მოურიდებლად გამოაბრძანეს საკუთარი სახლიდან ქუჩაში მხოლოდ იმიტომ, რომ უფროს დას თავისუფლად ეკეთებინა თავისი საქმეები.

ბიჭმა შეიგინა. ამან თითქოს შვება მოჰგვარა, ოდნავ გაიფანტა ბურუსი, რომელიც მოწყენილობას ჰგვრიდა გულსა და სულს. დაღლილი და გაბრაზებული იყო. ყველაფერი უაზროდ და სასაცილოდ ეჩვენებოდა, ყველაფერი აღიზიანებდა, გაზაფხულის მზეც კი. კეპი ღრმად ჩამოიფხატა, კვლავ ზიზღით გადააფურთხა, სკამზე გაიჭიმა და ცხოვრებაზე ფიქრი დაიწყო. მისი აზრით, ცხოვრებაში უნდა ყოფილიყო რაღაც სატანური და მაცდური. ასე რომ არა, იგი ახლა აქ არ იჯდებოდა და, რა ვჭამოთ, არ იფიქრებდა. მამის სიკვდილამდე კი საქმე ცუდად როდი იყო. საჭმელი მაინც ჰქონდა, სკოლის გარდა სხვა საზრუნავი არ აწუხებდა. მაგრამ მამა მოკვდა. რისთვის კვდება ნეტავ ადამიანი? იბადება მხოლოდ იმისთვის, რომ მოკვდეს, როგორც მამა მოკვდა. იგი ცხადია, ახლა სამოთხეშია, თუ ეს ასე არაა, მაშინ სამოთხეც არ ყოფილა და, ალბათ სიცრუეა. ბიჭუნამ უცებ თავის გვერდით ხმა გაიგონა:

— ყმაწვილო, აიკეცე ცოტათი ფეხები...

ბიჭს გული მოუვიდა. ეშმაკმა დალახვროს უკაცრიელ პარკშიც კი არ აძლევენ მოსვენებას. მან მკვეთრად გაიწია გვერდზე და წაისისინა:

— ენა ჩაიგდე, უბედურო ჭიავ, და ბევრს ნუ...

ბიჭს უმალ ჩაუწყდა ხმა, თითქოს დაასლოკინაო. წინ მისი ყოფილი მასწავლებელი, მაღალი, გამხდარი, ოთხკუთხა სახის პენსნეიანი მამაკაცი იდგა. ბიჭი გაირინდა, მაგრამ მალე მოიკრიბა სითამამე.

მამაკაცი მართლაც მასწავლებელი გამოდგა. მაგრამ სახალხო სკოლასთან შემოდგომიდან უკვე გაწყვეტილი ჰქონდა კავშირი. ამიტომ-ახლა იგი უკვე უბრალო ნაცნობი იყო, ძველი ნაცნობი, რომელიც რამდენიმე წლის მანძილზე ასე აბეზრებდა თავს გამასწორებელი დაწესებულებებისა და საბავშვო სახლების სამწუხარო ისტორიებით.

მასწავლებელი მიუჯდა ბიჭუნას და უბრალოდ დაუწყო საუბარი.

— ამას უყურე! ეს ჩვენი რისტო არ არის?! — გამარჯობა შენი. აქ რას წამოდრანჩულხარ?

— ბიჭმა წარბი შეიკრა:

— მაშ, სად ეშმაკებში უნდა წავიდე?!

მასწავლებელს სახე აენთო. ბიჭი, როგორც ჩანდა ისევ ისეთივე დარჩენილიყო, როგორიც [illegible]-ნათ იყო: ბრაზიანი, ეჭვიანი, გესლიანი. [illegible]სი კუთხეში დაყენება არ შეიძლებოდა. ვერც გაკვეთილების შემდეგ დატოვებდა და ვერც ყოფაქცევაში დაუკლებდა ნიშანს. ახლა ისინი ერთმანეთის დაუძინებელი მტრები იყვნენ. სიჩუმე ჩამოვარდა, პოზიციური ჭიდილი მიმდინარეობდა, ერთმანეთს თვალებით ზვერავდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მასწავლებელმა საუბრის გაგრძელება სცადა, თუმცა კარგად ხედავდა მის უსარგებლობას. მისი რწმენით, ბიჭი ცუდად იყო გაზრდილი და წინ ხულიგნის „ბრწყინვალე“ კარიერა ჰქონდა.

— როგორ გაატარე ზაფხული?

ბიჭმა ზედ მასწავლებლის ყურთან ჩაიხითხითა გესლიანად:

— კარგი შეკითხვაა სწორედ! დედაკაცური! მაგრამ ამაზეც გმადლობთ... გავატარე ისე რა, უკეთესს ვერ ინატრებდა კაცი.

გამხდარ სახეზე ღიმილმა გადაჰკრა — გამარჯვებულის მკაცრმა ღიმილმა. მას ეგონა, რომ ზრდილობიანობა და წესიერება, უბრალოდ, საზიზღრობაა და სისულელე, მეტი არაფერი. დაბადებიდანვე შეეჩვია ცემასა და სილებს. ყველა მოვალედ თვლიდა თავს, მისთვის მუჯლუგუნი წაეკრა.

მასწავლებელმა ახედ-დახედა მოწაფეს, რომლის სული მისთვის ჯერაც გამოცანას წარმოადგენდა. ნამდვილად ყოჩაღი ბიჭი ჩანდა. რაღაც დაუჯერებელი იყო, რომ ასე ადრე გაუხეშებული სული, ისეთივე შავი ყოფილიყო, როგორც მისი დაუბანელი ხელები. დაბალი ტანისა იყო, გამხდარი და საცოდავი; შიშველი წვივები ხის ფესვებივით წვრილი და გაფშეკილი ჰქონდა. ტანთ ძონძები ეცვა, ძონძებქვეშ კი ტყავი, ძვალი და მუდამ მბორგავი გული იმალებოდა.

მასწავლებელი დაღონდა. ბავშვმა მასში სიბრალული გამოიწვია და ამჯერად უკვე მამობრივი მზრუნველობით ჰკითხა:

— რამდენი წლისა ხარ, რისტო?

— რამდენის? — ავად გამოაჯავრა ბიჭმა და მთქნარებით თქვა: — ვერაფერი ზრდილობაა სწორედ, ადამიანის ასაკით დაინტერესება, ამასთანავე, ჩემს მასწავლებელს უნდა ახსოვდეს, რომ მე მეთოთხმეტეში გადავდექი.

რაოდენ თავხედი ჩანდა ახლა ეს ყოფილი მოწაფე, რომელიც სავსებით მომწიფებული იყო გამასწორებელი სახლისათვის. მასწავლებელმა თავი შეიკავა. სათუთუნე გახსნა, სიგარეტი ამოიღო და მოუკიდა. ნერვების დაძაბულობას ნიკოტინით ანელებდა ხოლმე. ბიჭი ხარბი თვალებით მისჩერებოდა, ცოტა დააყოვნა და მიახალა:

— თუ არ დამძრახავთ... ერთჯერ მომაქაჩინეთ. დილით, დამ გადამიგდო უკანასკნელი ნამწვი.

— რაო! — აფეთქდა მასწავლებელი, — როგორ მიბედავ! იცი, ჩემო კარგო, ეს კი ყოველგვარ საზღვარს სცილდება!

ბიჭი არ განაწყენებულა, ჯიბიდან დასვრილი ნამწვი ამოიღო, წელან პარკის შესასვლელთან რომ იპოვა, კეპი ოდნავ ჩამოიფხატა თვალებზე და თქვა:

— ერთნი პაპიროსს ახალგაზრდობაში ეჩვევიან, მეორენი — მოხუცებულობაში, მესამენი კი სულაც არ ეწევიან. მე, აი, უკვე მეორე წელია ვეწევი. მამის სიკვდილმა იმოქმედა ძალზე. ახლა... თუ პაპიროსი ვერ გაიმეტა, მეზობელმა ასანთი მაინც მომაწოდოს.

მასწავლებელი ჩაფიქრდა. მის თავმოყვარეობას სასტიკი დარტყმა მიაყენეს, იგი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ

ბიჭი დაუყოვნებლივ უნდა გაეგზავნათ გამასწორებელ სახლში, ამას სოციალური სამართლიანობაც მოითხოვდა. რისტო უკვე ზედგამოჭრილი ბოროტმოქმედი იყო, თუ არა და, ამის ყოველგვარი ნიშნები ჰქონდა. მაგრამ უმალ თავში ახალმა აზრმა გაუელვა, კვლავ გახსნა სათუთუნე, ბიჭს სიგარეტი შესთავაზა და უდარდელად თქვა.

— აბა, რისტო, მოწიე! ჩვენ შორის დარჩეს და, მეც 12 წლიდან ვეწევი.

ბიჭი გაშტერდა. მასწავლებელი მაინც ადამიანი გამოდგა. მას, როგორც ჩანდა, მარტო საჩვენებელი ჯოხის ხმარება როდი შეეძლო. რისტომ ხელი სტაცა სიგარეტს, მთელი ძალით მოქაჩა და ფურთხება დაიწყო. მასწავლებელს ეს აშკარად არ მოეწონა და გადაწყვიტა მეგობრულად შეენიშნა თავისი ყოფილი მოსწავლისათვის.

— ყური მიგდე, რისტო. შენ, ჩემო ძმაო, რაღაც ძალზე ხშირად იფურთხები, ჰა? ეს არც ლამაზია და ამავე დროს ანტიჰიგიენურიცაა.

როგორ იგრძნობ თავს, როდესაც სულ ერთი [illegible] გესმის, როგორც გრამაფონის ფირფიტიდან.

ხანგრძლივი სიჩუმე ჩამოვარდა. მასწავლებელი ხანდახან გადახედავდა ბიჭს, რომელიც უკვე მესამე სიგარეტს ამთავრებდა და უზომოდ ბედნიერი ჩანდა.

ამ დროს ყურისწამღებად დაიწივლა ქარხნის საყვირმა. ბიჭი წამოხტა და აქეთ-იქით დაიწყო ცქერა. მასწავლებელს გაუკვირდა:

— შენ რა, საყვირის ხმამ შეგაკრთო?

— არა, — უპასუხა ბიჭმა, — უკვე ოთხი საათია. დედა სამუშაოს ამთავრებს, იგი ფაიფურის ფაბრიკაში მუშაობს. ისე უხარია მოხუცს ფაბრიკის წინ რომ დავხვდები ხოლმე, მეშინია კიდეც სიხარულით გული არ გაუსკდეს. მამის სიკვდილის შემდეგ საწყალი მთლად შეირყა ჭკუიდან.

— ოჰო, მაშ, დედაშენი ფაბრიკაში მუშაობს? მამა მოგიკვდა? მაგრამ შენ ხომ დაცა გყავს? ისიც ჩემი ყოფილი მოწაფეა. მუშაობს სადმე?



— თავი დაანებეთ დაუსრულებლად მორალის კითხვას, — ჩაიბუზღუნა ბიჭმა. — საზიზღრად ღიზიანდებოდა ხოლმე, როდესაც ყოველთვის და ყველგან ჭკუას ასწავლიდნენ. — შინ შეხვალ, უფროსი და აქაქანდება; გაზეთს ჰყიდი ქუჩაში, იქაც თავს გაბეზრებენ — გვიანაა, ქუჩაში რას დაეხეტებიო! პარკში შეხვალ ნერვების დასამშვიდებლად და, იქაც ანგარიში უნდა ჩააბარო — ყველა იღრინება და ბუზღუნებს. თქვენ თვითონ განსაჯეთ,

ბიჭმა ისეთი სახე მიიღო, თითქოს არაფერი გაუგონიაო და გაიზმორა: — დასწყევლოს ღმერთმა, მგონი დროა.

მასწავლებელი ადგა და ხმამაღლა თქვა:

— გამოგყვები ჭიშკრამდე.

წავიდნენ.

მოწაფემ ნაბიჯს მოუმატა, მასწავლებელი გვერდზე მიჰყვებოდა, ბოლოს, ფაბრიკის ჭიშკარს მიადგნენ. მასწავლებელი, რომელიც ინტერესით უყურებდა ყოველგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვარ საზოგადოებრივ მოვლენას, — თუმცაღა იგი ამ მოვლენებს ისე აღიქვამდა, როგორც ჩქარი მატარებლის ფანჯრიდან მაცქერალი კაცი, — შეჩერდა და დააკვირდა: ფაბრიკიდან მუშები ბრუნდებოდნენ...

ხალხის უზარმაზარი, ჭრელ-ჭრული ნაკადი მოედინებოდა. მოხუცებიც იყვნენ; იყვნენ მუშების ახალგაზრდა ცოლებიც, რომლებიც მძიმე შრომას უკვე მხრებში მოეხარა: მოზარდი გოგონებიც ჩანდნენ. ბიჭებიც იყვნენ, რომელთაც ერთი სული ჰქონდათ, გაეხადათ გაზუნზლული ტანსაცმელი და ქალაქის მჩქეფარე ცხოვრებაში გარეულიყვნენ.

ბიჭის დედა ამ ნაკადში არ ჩანდა. იგი ჯერ კიდევ დილით წაიყვანეს. მან ფაბრიკა დედოფალივით დატოვა — სამუშაოს მწარმოებელმა და მუშა ქალებმა იგი მოწიწებით, მკლავგაყრილი გაიყვანეს ეზოში, იქ კი, სასწრაფო დახმარების მანქანაში ჩასვეს და ჰოსპიტალში გაისტუმრეს. ჩვეულებრივი უბედური შემთხვევა იყო. ზოგი ამბობდა გაუფრთხილებლობით მოუვიდაო, ზოგი კი ამტკიცებდა, სისუსტისა და მოქანცულობის ბრალიაო.

ბიჭი გაქვავებული სახით მიაბიჯებდა საავადმყოფოსაკენ, უკან კი დადუმებული, ქედმოხრილი, პენსნეიანი მასწავლებელი მიჰყვებოდა. იგი არწმუნებდა, ტაქსში, ან ტრამვაიში მაინც ჩავჯდეთო, მაგრამ ბიჭი მტკიცედ უარობდა:

— ფულის უაზრო ხარჯვაა, ფეხით მივალ, თქვენ კი, თუ გსურთ, თვითმფრინავით წადით. ანდა რა გინდათ საავადმყოფოში? ალბათ, დედას ენას მიუტანთ: თქვენი ბიჭი ეწევაო, ხომ? ასე იცით მასწავლებლებმა.

მასწავლებელმა ფრთხილად შეახო ხელი მხარზე და უთხრა:

— ყური მიგდე, რისტო, შეიძლება რაიმე სერიოზულია? შესაძლოა რითიმე დაგეხმარო?

ბიჭმა გამომწვევი უხეშობით უპასუხა:

— ეშმაკსაც წაუღია ყველა კეთილისმყოფელი! თვითონ გავუძლებ გასაჭირს.

მასწავლებელს ბრაზი მოერია. მასთან ჯერ არც ერთი ძუძუმწოვარა არ მოქცეულა ასე. რატომაა ეს ბიჭი ასეთი აუტანელი, უხეში და ასაკსშეუფერებლად მოხუცი?

აგრილდა. მზის სხივები უკვე ისერიგად აღარ აცხუნებდნენ. მასწავლებელმა შეამჩნია, რომ ბიჭის შიშველ წვივებს სიცივის ჭიანჭველებმა დაუარეს.

— აცივდა, — თქვა მან.

— აიწიეთ საყელო, — ურჩია ბიჭმა.

ბოლოს საავადმყოფოს მიადგნენ. ბიჭი ვესტიბიულში შედგა და თქვა:

— თქვენ აქ დამელოდეთ. დედა მორცხვი ქალია. მთელი სიცოცხლე ფაბრიკაში გაატარა. შეიძლება შერცხვეს კიდეც, სტუმარს რომ დაინახავს. ჩამოჯექით სადმე. მე მალე გამოვბრუნდები.

გაიარა ათმა წუთმა. ბიჭი არ ჩანდა. მასწავლებელს მოწყინდა ლოდინი, ფეხაკრეფით გაჰყვა დერეფანს, გამოაღო პალატის კარი და ზღურბლთანვე გაქვავდა. საწოლზე ქალი იწვა. სახე იმ ბალიშზე თეთრი ჰქონდა, რომელზედაც თავი ედო. საწოლის ერთ მხარეს ბიჭი იდგა, მეორე მხარეს ახალგაზრდა მოწყალების და. ბიჭი დაიხარა, ხელები მოუჭირა გრძნობადაკარგულ დედის ხელებს და ჩურჩული დაიწყო:

— დედიკო, საყვარელო, შენ არ უნდა მოკვდე! გესმის, დედიკო შენ აუცილებლად გამოკეთდები. მე სამუშაოდ წავალ, შენ კი შინ იქნები, ჩვენ ცალკე ოთახს ვიქირავებთ...

მოწყალების დამ ფანჯრისაკენ მიიბრუნა სახე, ბიჭი კი განაგრძობდა:

— დედიკო, საყვარელო, რატომ დუმხარ? მითხარი რამე. დედა, იცი, დღეს ჩემი მასწავლებელი შემხვდა. გულისხმიერი კაცია, ცდილობს, დაგვეხმაროს. აუცილებლად მომაწყობს სამუშაოდ, სხვებიც მოაწყო ჩვენი სკოლიდან. მე სულ ვიცრუებ, დავმალავ ასაკს, თუ ეს საჭირო იქნება. აღარ შემიძლია მეტი ქუჩაში ცხოვრება... დედა, დედიკო, საყვარელო!

მასწავლებელმა უხმაუროდ გამოიხურა კარი, ვესტიბიულში გაბრუნდა და ბიჭს დაუწყო ცდა. საწოლზე მწოლიარე ქალის თვალებში კარგად შეამჩნია სიკვდილის ცივი ნაპერწკალი, მაგრამ ამავე დროს მან სხვა, მეტად მნიშვნელოვანი რამ აღმოაჩინა. დარწმუნდა, რომ ქალაქის გარეუბნელ ბიჭს ორი სახე ჰქონდა: სიკვდილის წინაშე სიცრუემ უკან დაიხია და ადამიანმა მოიხსნა მსახიობის ნიღაბი.

მასწავლებელი მიხვდა, რომ ბიჭი ცოდვა იყო გამასწორებელ სახლში გასაგზავნად. მას თვალწინ დაუდგა ჰელსინკის გარეუბნებში მოხეტიალე მრავალი ასეთი ბავშვი და ის მოქალაქეები, რომლებიც ამ ბავშვებს ხულიგნის ბრწყინვალე კარიერას უწინასწარმეტყველებდნენ.

თარგმნა ზ. ზურაბიშვილმა

## იცით თუ არა რომ...

... ლითონის ხიდები პირველად ჩინეთის მთიან ადგილებში იქნა აგებული. ლითონის ერთ-ერთი უძველესი ხიდით, რომელიც მდინარე ტატუზეა გადებული, ახლაც სარგებლობენ ჩინელები. თუმცა იგი უკვე 258 წლისაა

... მეცნიერებისათვის ამჟამად ცნობილია 1 700 000 სხვადასხვა სახის მცენარე. მცენარეთა ყველაზე მოკლე აღწერას 50 უზარმაზარი ტომი სჭირდება.

... ჩვეულებრივი თოვლის ფიფქის წონა გრამის ერთ მეათიათასედს უდრის. 10.000 თოვლის ფიფქი ერთი კაპიკიანის წონას უდრის.

... თეთრი ვეფხვები დიდ იშვიათობას წარმოადგენენ. უკანასკნელი 50 წლის მანძილზე ინდოეთში მხოლოდ 8 თეთრი ვეფხვი ნახეს.

... ღრუბელში არსებული წყლის პატარა წვეთები ბუნებრივ პირობებში მინუს 40 გრადუსზეც კი არ იყინება.

... შავ ნამგალა ჩიტებს ძალზე განვითარებული აქვთ ურთიერთდახმარების ინსტინქტი. ისინი დაჭრილ თანამოძმეს არასოდეს არ მიატოვებენ.

...კიბო ყოველთვის როდი მიცოცავს უკან. მართალია, ცურვის დროს უკან-უკან მიდის, მაგრამ საკბილოს დანახვისთანავე წინ მიეშურება.

... თაგვი თავისი სიცოცხლის თითქმის ნახევარს კოხტაობაში ატარებს, ამას ამტკიცებს ლაბორატორიულ პირობებში ჩატარებული დაკვირვებები.

არსებობენ გადამფრენი პეპლებიც. მათი ზოგიერთი სახეობა ყოველწლიურად ახდენს გადაფრენას ჩრდილოეთ აფრიკიდან ინგლისში, ფილადელფიაში, ისლანდიაში და უკან. უმეტესად ღამით, მთვარის შუქზე მიფრინავენ.

... გველებს ღია თვალებით სძინავთ, თუმცა მათ მესამე მოძრავი ქუთუთოც აქვთ და შეეძლოთ დაეძინათ სხვებივით. სულ სხვა საქმეა თევზები. მათ არ შეუძლიათ დახუჭონ თვალები, რადგან ქუთუთოები არ გააჩნიათ.

...გარდა აქლემისა, უწყლოდ დიდხანს ძლებენ ანტილოპები და ჟირაფებიც. აქლემს შეუძლია წყურვილი მოიკლას ზღვის ან მარილიანი წყლით.




# გაყინული თევზები

ჩრდილო ამერიკაში, მდინარე იუკონის მახლობლად ცხოვრობდა ერთი განთქმული მონადირე ვილიამი. მას ჰყავდა ერთადერთი ვაჟი დალლია. ბიჭი ათი წლისა რომ გახდა, მამამ პირველად მაშინ წაიყვანა შორს, სანადიროდ... ახალი წლის წინა დღე იყო. ისე ციოდა, რომ პატარა ტბები და ნაკადულები ყინულად იყო ქცეული. მამა და შვილი ყინვას არ შეუშინდნენ, დილით ადრევე ავიდნენ თავისი სოფლის მდინარის სათავეებში და შეუდგნენ ნადირობას.

ვილიამმა შუადღემდე კარგად ინადირა, განსაკუთრებით ხოხობზე და კურდღელზე. შინ დაბრუნების წინ მდინარის ნაპირზე დაისვენეს. იქვე ერთი პატარა ტბა იყო, ფსკერამდე გაყინული. დალლია მივიდა იმ ტბასთან, ის იყო ყინულზე უნდა გასრიალებულიყო, რომ აღტაცებით წამოიძახა:

— მამა, გაყინული თევზები!

მართლაც, მთელ ტბაში აუარებელი, პატარა, მოშაო ფერის თევზები იყო ჩაყინული, გაქვავებული.

ამ სანახაობამ ვილიამიც გააკვირვა: ამდენი ხნის კაცი ვარ, ამდენს დავდივარ სანადიროდ და ასეთი რამისთვის ჯერ თვალი არ შემისწრიაო.

მამა-შვილმა ამოამტვრიეს თევზებიანი ყინული, რამდენსაც მოერეოდნენ, და შინ წაიღეს; ეს იყო დალლიას პირველი დიდი ნანადირევი.

შინ მისვლისთანავე პატარა მონადირემ თევზებიანი ყინული ქვაბში ჩაყარა და ცეცხლზე დადგა.

ყინული თანდათან დადნა, ბოლოს, ყინულის ტყვეობიდან განთავისუფლებული თევზები ქვაბის ფსკერზე დაიძრნენ. მცირე ხნის შემდეგ, ის იყო დალლიამ დააპირა ერთი თევზის ამოღება, რომ ამ დროს თევზი წყლის ზედაპირზე ამოტივტივდა, პირი და ლაყუჩის ხვრელები გააღო. ოდნავ ამოძრავდა და ცურვა დაიწყო; წყლის ტემპერატურის მომატებასთან ერთად მალე სხვებიც ამოტივტივდნენ და ამოძრავდნენ!.. დალლია



შეკრთა, უნებლიედ უკან დაიწია და ხმადაბლა წაიჩურჩულა:

— შეხედეთ რა მოხდა, მკვდარი, გაყინული თევზები გაცოცხლდნენ!

ბიჭუნამ სახლი იმავ წამში ელვის სისწრაფით შემოირბინა, ყველა იქ მოიყვანა და აჩვენა; ეს ამბავი მალე მთელ სოფელს მოედო და დაიწყეს მნახველებმა მოსვლა.

რამდენიმე ხნის შემდეგ მათ ოჯახს ესტუმრა შორი ქვეყნიდან მოსული მოგზაური ბუნებისმეტყველი; მას წარუდგინეს პატარა მკვლევარი, მისი თევზები და უამბეს მომხდარი ამბავი...

მეცნიერი დაინტერესდა, დაწვრილებით შეისწავლა ის თევზები. გამოჩნდა, რომ ამ სახეობის თევზი ჯერ ქვეყნისთვის ცნობილი არ იყო. ამიტომაც პირველი აღმომჩენის — პატარა ბიჭის სახელი „დალლია“ დაარქვა და პირველად ჩაწერა წიგნში.

შემდეგ, ეს საოცარი, ყინვაგამძლე თევზი სხვა მეცნიერებმაც იპოვეს. აღმოჩნდა, რომ გარდა მდინარე იუკონისა, იგი სხვაგანაც ცხოვრობს: ბერინგის ზღვის ნაპირებთან, ჩუკოტკის ნახევარკუნძულის წყლებში, წმიდა ლავრენტის კუნძულებზე, ჩრდილო დასავლეთ ალიასკაზე, ჩვენი კავშირის ჩრდილოეთით — ტუნდრის პატარა მდინარეებსა და ტბებში.

დალლია — მტკნარი წყლის თევზია, ეკუთვნის ქარიყლაპიასნაირებს. ბინადრობს მცირე მდინარეებში, ტბებში, ჭაობებში, საერთოდ, ისეთ ადგილებში, სადაც არის მისი კანის დასასველებლად საკმარისი წყალი.

ყინვების დაწყებისთანავე შედის წყალმცენარეებში და იქ იზამთრებს.

მუქი ფერისაა. გვერდებზე მუქი ლაქები აქვს, ზოგჯერ განივი ზოლებით. სხეული - მრგვალი, საცურავო ფარფლები — ფართო, კბილები კი სუსტად განვითარებული აქვს. კუდის ფარფლი მრგვალი ეზრდება და სიგრძით 20 სანტიმეტრამდე აღწევს.

დალლიას ალიასკაზე ჭამენ და თევზების საკვებადაც იყენებენ.

**როსტომ ელანიძე**

## მსროლელი მცენარე

სამხრეთ ამერიკის ტროპიკულ ტყეებში რომ მოხვდეს, უცხოელს შიშის ზარი შეიპყრობს მოულოდნელად ატეხილი სროლისაგან.

ვინ ისვრის? საიდან ისვრის? სად შეაფაროს თავი, რომ სიცოცხლეს არ გამოესალმოს? — ასე ფიქრობს შეშინებული ადამიანი...

ბოლოს გამოირკვევა, რომ ამ, რევოლვერის სროლის ხმას გამოსცემს თურმე ერთი პატარა მცენარე, რომელსაც უკადრისას, ანუ «ხელი არ მახლო»-საც ეძახიან. ის შეხებისას თესლს ესვრის ადამიანს და ცხოველს, წებოვანი თესლი მიეკვრება ადამიანის ტანისამოსს ან ცხოველის ბეწვს, ერთი ადგილიდან მეორეზე გადადის და ვრცელდება.

ჩვენში უკადრისა დიდადაა გავრცელებული. პირველად იგი ცენტრალური აზიიდან შემოვიდა. მცენარე თესლის სროლის უნარით მოიწევდა წინ. რამდენიმე ათეული წლების წინ აზიიდან ურალის ქედი გადმოლახა, ევროპაში შემოაღწია და ქალაქების მახლობლად ბაღებში, პარკებში და სასაფლაოებზედაც გაიდგა ფეხი.

**ანა ნემსაძე**



# მესამე კაცი

შალვა ცხადაძე — ზღაპარი — ნახ. ავტორისა

მეტყევის სახლი ზედ ტყის პირას იდგა. წინ ფართო ეზო ამშვენებდა, უკან—კოპწია ბოსტანი. როგორც ყველა ბოსტანში, აქაც ხელებგაშლილი და თავზე ჭილისქუდ-ჩამოფხატული საფრთხობელა კონწიალობდა. ეზოში კი დიდყურა ვირი, დეზებიანი მამალი და ყურშა ცხოვრობდნენ.

ერთი შეხედვით თითქოს ყველა კმაყოფილი იყო თავისი ბედით, მაგრამ რატომღაც ამ ეზოში ყურშას შემდეგ მამალი მეორე კაცად ითვლებოდა, სწორედ ამით იყო განაწყენებული ვირი. გუნებაში სულ ამას ამბობდა:

„კარგი, ყურშაზე არაფერს ვამბობ, ის მართლაც დიდი ავი ვინმეა, მთელი ამ ეზოს ავანჩავანი და თავი კაცი. თუ მისი კარგი ნაცნობი არ ხარ, ფეხს არ შემოგადგმევინებს ეზოში. ყეფს და ყეფს, სანამ მთელ ქვეყანას არ შეყრის მაგრამ ჩემთან შედარებით დიდი არაფერი შვილია. მხოლოდ ეს კი ვერ გამიგია, რა ნახა ჩვენმა პატრონმა ამ დეზებიან მამალში. მამალს ხომ ყივილის მეტი არაფერი შეუძლია. ოჰ, ეგ ტრაბახა ეგა! იცით, რას ამბობს ხოლმე? მე რომ არ ვიყო, ქვეყანას ბნელეთი დაეპატრონებოდაო, მზე ჩემი წყალობით ამოდისო, მე რომ არა, მზეს ამოსვლა დაავიწყდებოდაო, და ვინ იცის კიდევ რამდენ სისულელეს როშავს ხოლმე.

მამალს რა ენაღვლება, ალიონზე ერთს დაიყივლებს, მეტყევეს გათენებას ამცნობს და მერე მორჩა, მთელი დღე გაბღენძილი დასეირნობს ეზოში საქმიანი კაცივით. შენ კი დაგადგამენ კეხს და იმუშავე მზის ჩასვლამდე!

სიმართლე გითხრათ, ამას წინათ მეც ვცადე, ჩვენი პატრონისათვის თავი მომეწონებინა. სწორედ იმ დღეს იმდენი მამუშავა, რომ არაქათი გამომაცალა. მგონი არც თვითონ იყო ნაკლებ დღეში. შუადღემ მოატანა, მოსართავები მომხსნა, კეხი წაიღო ჩრდილში და ზედ თავი მიდვა. სულ მალე გემრიელი ხვრინვა ამოუშვა. იმის ნაცვლად, რომ დამესვენა, მივედი და ჩვენს პატრონს თავზე დავადექი. ვიფიქრე, მამალი ყივის — მეტყევეს უყვარს; ძაღლი ყეფს—მეტყევეს უყვარს. მოდი, ერთი მეც დავიყროყინებმეთქი, და ვაი, შენს მტერს, რაც მე დღე დამადგა! ჩემი დაყროყინება და პატრონის ზეზე წამოვარდნა ერთი იყო. ჯერ ლაზათიანად მირტყა და მირტყა; ბოლოს კი სულ გამიმეტა: შე სამგლევ, შენაო, რომ ყროყინებ, რა გაყროყინებს, ხომ ხედავ, კაცი ვისვენებო.

მგლის გაგონებაზე ჭირის ოფლმა დამასხა. იმ დღიდან უხმოდ ვემსახურები პატრონს. მაშ, ეს სამართალია? ამდენს ვშრომობ და მაინც ძაღლისა და მამლის შემდეგ მესამე კაცად უნდა ვითვლებოდე? ისლა მაკლია, ბოსტნის უქნარა საფრთხობელაც ჩემზე წინ დააყენონ».

დღესაც ომახიანად დაიყივლა მამალმა, პატრონს გათენება ამცნო. მეტყევემ ვირს კეხი დაადგა, მოსართავები მოუჭირა და წინ გაიგდო. სახედარი მორჩილად წავიდა ბუჩქებშორის დაკლაკნილ ბილიკზე. ცოტა ხნის შემდეგ ხევში მუშაობა გაჩაღდა, ისმოდა ნაჯახის ჩახა-ჩუხი. მეტყევე თავს არ ზოგავდა, ჩეხდა და აპობდა დიდრონ კუნძებს, ცდილობდა, რაც შეიძლება მეტი შეშა დაეგროვებინა ზამთრისათვის.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ვირი არ ერეოდა მეტყევის საქმეში. იდგა გვერდზე ფეხებგაფარჩხული და ნაღვლიანი თვალებით გაჰყურებდა ჯირკების გროვას. გამოცდილი იყო დიდყურა, იცოდა, რომ ეს ამოდენა ტვირთი სულ მისი გადასაზიდი იქნებოდა.

„დაე, ამ ჯერზე, იმ მყივანა მამლაყინწამ და მყეფარა ყურშამ გადაზიდონ ეს შეშა. მე კი უნდა ვუშველო თავსო“,— გაიფიქრა ვირმა და გაიძურწა ბუჩქებში ისე, რომ მეტყევეს არ გაუგია.

მიდიოდა ვირი ტყეში, მაგრამ საით მიდიოდა, თვითონაც არ იცოდა. არაქათგამოლეული ფეხებს ძლივს მიათრევდა. „ეჰ! ეს რა ჩავიდინე!“ — მწარედ ნანობდა დიდყურა,— ეშმაკმა იცის, რა შეიძლება შეგხვდეს კაცს ამ უღრან ტყეში. პატრონთან მგლის შიში მაინც არ მქონდა, აქ კი...“

უეცრად ტყის სიღრმიდან ტოტების ლაწალუწი შემოესმა. „მორჩა ჩემი საქმე, ამიხდა პატრონის წყევლა-კრულვა. ალბათ, ახლა მგლების მთელი ხროვა მორბის ჩემკენ“,—სასოწარკვეთით გაიფიქრა დიდყურამ. მაგრამ ეს რა მოხდა?! უეცრად მგლების ნაცვლად, ბუჩქებს მელია-ცლანგა გადმოევლო, პირში დეზებიანი მამალი ჰყავდა გამოჩრილი და გამორბოდა, უკან კი ყურშა მოსდევდა თავპირისმტვრევით. ვირს რაღაც უნდოდა დაეძახა, მაგრამ ამის ნაცვლად ისეთი დაიყროყინა, რომ მთელი ტყე შეზანზარდა. ცლანგას მეტიც არ უნდოდა, ვირის ყროყინზე თავგზა აებნა, ფეხები აებლანდა, ყირამალა წავიდა და ბალახებში გაიშხლართა. ამასობაში, როგორც იქნა, ძაღლიც წამოეწია. მელამ დროზე უშვა პირი მამალს, რის ვაივაგლახით დაუსხლტა ყურშას ბასრ კბილებს და ბუჩქებში მიიმალა.

ყველაფერი რომ მიწყნარდა, მამალმა საცოდავი ხმით ამოიხროტინა:

— კიდევ კარგი, რომ გადავრჩი, თორემ რა გეშველებოდათ, თქვე უბედურებო, მზეს ვინღა ამოიყვანდა?

— ეს ჩვენს მეგობარს უნდა უმადლოდე,—უპასუხა სიცილით ყურშამ და ვირს გადახედა. ვირმა უწყინარი ღიმილით უპასუხა:

— რა მოხარული ვარ, რომ თქვენ შეგხვდით,— და

### გაბრიელ ჯაბუშანური

## მეზობლები

ხუხულა კი არ გეგონოთ,—
ჭუჭულების ოთახია,
ვახ-ვახით რომ დაგოგმანობს,
ეს იხვების ოჯახია.

კრუხმაც იქვე დაიბუდა,
იხვს რომ ჰქონდა კარმიდამო,
დედა იხვი გაიბუტა:
მეზობელი არ მინდაო.

ხოლო ლლაპი ჭუჭულები
ფარფატებენ საცეკვაოდ,
კრუხის ირგვლივ ჟღურტულებენ:
შენ როდისღა დაჩეკავო.

კრუხი კუთავს ნება-ნება,
ამბობს: — [illegible]ენზე მეტად ველი,
ხოლო იხვს კი ენანება
გულფიცხობა წელანდელი.

თვალები ცრემლით აევსო. შემდეგ კაკლისოდენა კურცხალი გადმოუგორდა და მამალს თავზე დაეცა.

მამალმა პირი დააღო სალაპარაკოდ, მაგრამ ყურშამ გააჩერა და უთხრა:

— თავი დაანებე მამლაყინწობას, დიდყურას არ უყვარს სხვებივით ტყუილუბრალოდ ლაპარაკი, თვითონ იცის თავისი საქმისა!

სამივემ მეგობრულად გასწიეს შინისაკენ. გახარებულ დიდყურას უკვე აღარ აღარდებდა პატრონის კარზე მესამე კაცად რომ ითვლებოდა.

წინ ყურშა მიდიოდა, უკან ვირი მიჰყვებოდა, ხოლო მამალს ვირის ზურგზე მოეკალათებინა.

მეორე დღეს უთენია იყივლა დეზებიანმა მამალმა, დიდყურა ვირი მორჩილად გაჰყვა პატრონს შეშის მოსაზიდად, ხოლო ძაღლი ყურშა კვლავ ერთგულად დარაჯობდა კარ-მიდამოს.



# მოკლედ ყველაფერზე

## ესტაფეტა ჯუნგლებში

დახედეთ სურათს. განა ვინმე იფიქრებს, რომ 75-კილოგრამიანი მორები, რომლებიც [illegible] მიაქვთ მორბენლებს, ესტაფეტის ჯოხებია. სინამდვილეში კი ეს მართლაც ასეა. ესტაფეტით სირბილი ერთ-ერთი საყვარელი შეჯიბრებაა ბრაზილიაში, გოას შტატის ტროპიკულ ტყეებში მცხოვრებ ინდიელთა ტომისათვის.



შეჯიბრების მონაწილენი ჯგუფებად იყოფიან. თითოეულ ჯგუფში 15 კაცია. ჯგუფის წევრებს რიგრიგობით მიაქვთ ესტაფეტის „ჯოხი". შეჯიბრებაში კაცებიც მონაწილეობენ და ქალებიც, ოღონდ ქალების ესტაფეტაში მორის წონა გაცილებით ნაკლებია — სულ... 80 კილოგრამი.

## საიდუმლო კუნძული

საიდუმლო კუნძული?! განა შეიძლება არსებობდეს იგი ჩვენს დროში? — იკითხავთ, ალბათ.

დიახ, იგი მართლაც არსებობს. ოფიციალურად ამ კუნძულს ანდროსი ჰქვია და სხვა 8.000 კუნძულთან ერთად შედის ბაგამის არქიპელაგში, რომელიც გარს ეკვრის ფლორიდას.

იგი საიდუმლოა იმიტომ რომ, თუმცა ნაპირიდან მხოლოდ 50 კილომეტრზე მდებარეობს, მის მიწაზე არც ერთ ადამიანს არ დაუდგამს ფეხი. გიგანტური მარჯნის მეჩეჩი, რომელიც ამ კუნძულს გარს შემორტყმია, მეტისმეტად ფართო და ღრმაა იმისათვის, რომ კაცმა ფეხით გადალახოს, მაგრამ მეტად თხელია ნავით გადაცურვისათვის.

მეზობელ კუნძულებზე მცხოვრებლებს ანდროსი კაციჭამია ველურებითა და სხვა საშინელი მხეცებით სავსე ეგონა, სანამ ავიაცია არ დაეხმარა მეცნიერებს იმის დადგენაში, თუ ვინაა ამ კუნძულის ბატონ-პატრონი. აღმოჩნდა, რომ ესენი არიან: კუები, ვარდისფერი ფლამინგოები და სხვადასხვა ზღვის ფრინველები.

და მაინც კუნძული ანდროსი უცნაურ კუნძულად რჩება, რადგან მასზე არსებობენ მეტად თავისებური სახის ტბები. ისინი სრულიად მრგვალნი არიან და ისეთი სიღრმე აქვთ, რომ მისი გაზომვა ჯერჯერობით ვერ მოხერხდა. ზევიდან რომ დახედო რომელიმე ტბას, გეგონება თითქოს უფსკრულის თავზე იდგე, ხოლო უფსკრულში კი დიდი თევზები დაფრინავენ; თუ ჩაყვინთავ და ზევით აიხედავ, ისეთი შთაბეჭდილება შეგექმნება, თითქოს თევზები ჰაერში დაცურავენ. ასეთი გამჭვირვალეა ამ ტბებში წყალი, თანაც სრულიად მტკნარია. მაგრამ საიდან გაჩნდა იგი აქ, როცა ბაგამის არც ერთ კუნძულზე არაა მტკნარი წყალი? ან რატომ აქვთ ტბებს მრგვალი ფორმა, თითქოს ფარგლით იყოს შემოხაზული? ანდა აქამდე რატომ ვერ იქნა მათი ფსკერი მონახული, როცა იქვე გვერდით, კუნძულის ნაპირთან ზღვა სრულიად თხელია? ჯერჯერობით ამ კითხვებზე არაა პასუხი გაცემული.

## სპილოებით მიწას ხნავენ

„ცოცხალი სპილო — მთელი სიმდიდრეა", — ამბობს ინდური ანდაზა. ინდოეთში, ისევე როგორც სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ყოველ მხარეში, მოშინაურებულ სპილოებს მრავალ სამუშაოზე იყენებენ: მძიმე ტვირთის გადასატანად, მშენებლობაზე და თვით სოფლის მეურნეობაშიც კი. ჰიმალაების პირას, მინდვრებზე, შეიძლება დავინახოთ გუთანში შებმული სპილოები. ამ ოთხფეხა მეგობრების საშუალებით გლეხები მაგარნიადაგიან მიწებს ხნავენ.



## უძველესი მონეტები

სულ სხვადასხვა, ერთმანეთის საწინააღმდეგო ლეგენდები არსებობს იმის შესახებ, თუ პირველად როდის და სად გამოიგონეს მონეტა. რომაელები მონეტის გამოგონებას მიაწერდნენ ღმერთებს — სატურნსა და იანუსს. თვით სიტყვა „მონეტა" დაკავშირებულია რომის ქალღმერთ იუნონას სახელთან. იუნონას ტაძარში (კაპიტოლიუმზე) იყო მოთავსებული რომის ზარაფხანა.

სინამდვილეში სად გამოჩნდნენ პირველი მონეტები? უახლოესი გამოკვლევებით, მონეტები პირველად გამოჭრეს ლიდიაში — მცირე აზიის ძველ ქვეყანაში. ლიდიელები მონეტებს ხმარობდნენ ჯერ კიდევ VI-VII საუკუნეებში ჩვენს წელთაღრიცხვამდე. ფულის ჭრის ხელოვნება მათგან სხვა ხალხებში გავრცელდა. უძველესი ლიდიური მონეტა მხოლოდ ერთ მხარეზეა დამუშავებული და სალესავს მოგვაგონებს. მხოლოდ გვიან, საბერძნეთში მიიღეს მონეტებმა ჩვეულებრივი მრგვალი ფორმა.

მონეტებს პირველად ვერცხლისას სჭრიდნენ. შემდეგში გამოჩნდა ოქროსი და ძვირფასი შენადნობებისაგან გამოჭრილი მონეტები. ძველ რომში უფრო უბრალო, სპილენძის მონეტებსაც ამზადებდნენ. მონეტების გამოგონებამ გააადვილა სავაჭრო ოპერაციები.

## „სიმწიფის ატესტატი"

ერთ-ერთი აფრიკული ტომის — მახაის ჭაბუკები მეტად თავისებურად აბარებენ გამოცდებს „სიმწიფის ატესტატზე". ისინი ამ დროს იცვამენ საზეიმო წითელ სამოსს, წითლად იღებავენ თმებსა და კანს. ხანგრძლივი მძიმე გზა, მტაცებელ ცხოველებზე ნადირობა, ტკივილების, წყურვილის, შიმშილის ატანა — აი, საკმაოდ არასრული სია ტრადიციული „გამოცდებისა", რომელიც უნდა ჩააბარონ მასაიელმა ჭაბუკებმა, რათა უფლება მიიღონ იწოდებოდნენ სრულუფლებიან მამაკაცებად.

## კონცერტი მცენარეთათვის

ვინ არ იცის, რომ მცენარეებს ყურები არ აქვთ, მაგრამ ყველამ როდი იცის, რომ მცენარეები... მუსიკას უსმენენ და უყვართ კიდეც იგი. ეს ცდებით დაამტკიცეს ინდოელმა სწავლულებმა სინგხმა და პანიახმა.

ისინი ხშირად განსაზღვრულ მელოდიას უკრავდნენ წყალმცენარე ჰიდრილა ვერტიცილიატისათვის. კონცერტის დროს მცენარის უჯრედებში სასიცოცხლო პროცესები უფრო აქტიურად მიმდინარეობდა.

შემდეგ მუსიკას უსმენდა „მორცხვი მიმოზა". დღეში 25 წუთს გრძელდებოდა ეს კონცერტი. მიმოზის ბუჩქები უფრო გამაღლდა და გაიფოთლა იმ ბუჩქებთან შედარებით, რომლებიც „უმუსიკოდ" ვითარდებოდა.

ასეთი გამოკვლევები ახლა ბევრ ქვეყანაში სწარმოებს და, ვინ იცის, მომავალში იქნებ რადიოგადაცემები არა მარტო ადამიანებისათვის, არამედ ხორბლისთვის, პამიდორისა და ბამბის პლანტაციებისათვისაც მოაწყონ.

ჩვენი მისამართი: თბილისი, პლეხანოვის, 91 ტელ. 5-07-43

„ПИОНЕРИ", На грузинском языке. Адрес редакции: Тбилиси, пр. Плеханова, 91.
გამომცემლობა „ნაკადული". უე 08802 ტირ. 27.000. პირ. ფორ. რაოდ. 4½, ქაღ. ფორ. რაოდ. 2. ხელმოწერ. დასაბ. 9/X-62 წ.
სტამბის შეკვ. 1780. გამომც. შეკვ. 164. საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის [illegible]
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ფასი 20 კაპიკი

ეროვნული ბიბლიოთეკა






თქვენს წინაშეა ჯაჭვურად გადაბმული 18 წრე, რომლებიც ერთმანეთის გადაკვეთით ექვს-ექვს ნაწილად იყოფა. ყოველ ნაწილში უნდა ჩაიწეროს თითო ასო ისე, რომ ციფრის ირგვლივ, ისრით ნაჩვენები ადგილიდან იკითხებოდეს სიტყვა. სცადეთ და აქვე მოცემულ კითხვებს გაეცით ზუსტი პასუხები, რომლებიც უნდა ჩაიწეროს წრეებში

1. რიცხვი; 2. საზოგადო ანუ... 3. ლიტერატურული ნაწარმოების სახე; 4. ქვეყნის ნაწილი; 5. მიწის ნაკვეთი რომელზედაც გაშენებულია ვაზი; 6. ტანსაცმელი; 7. სადურგლო ხელსაწყო; 8. სავაჭრო ადგილი; 9. ტრაფარეტი ანუ... 10. ქალაქი იტალიაში; 11. ატმოსფეროს მდგომარეობა განსაზღვრულ დროსა და ადგილზე; 12. მიზანსწრაფვა ანუ... 13. ტბა საბჭოთა კავშირში; 14. დიდი რუსი მწერალი; 15. მეცნიერება აზროვნების სწორი ფორმირებისა და კანონების შესახებ; 16. პატარა მილი; 17. სახელზმნა; 18. ლიტერატურული ნაწარმოების სახე.

ნ. კლდიაშვილი

## თავსატეხი



აქ მოცემული ფიგურა საჭიროა გაიყოს ოთხ ტოლ ნაწილად.

გ. ბაძგარაძე

## შარადა

ნამგლებს რომ ატრიალებენ,
ყანას აწვენენ დაბლა,
რა ჰქვია შრომის ამ პროცესს,
გამოიცანი აბა.
შეავსე სიტყვა შენ ორი
მუსიკალური ბგერით,
პირველად იგი დაურთე,
რომ ითქმის ენის წვერით.
თუ წინა ბგერას მოაკლებ,
შარადის პირველ სიტყვას,
სასწავლო ნივთად იქცევა,
გამოიცან და მითხარ!

შ. ამირანაშვილი

## გამოცანები

1

ხეში გადი-გამოდის
რკინის ერთი ფურცელი,
ყურებში აქვს თითები
კბილებს ზემოდ მუცელი.

2

თვითონ ნეკერით გამოზრდილს
თავზე ორი ხე ამოსდის.

ზ. წერეთელი

# პასუხები

## კროსვორდი

**ვერტიკალურად:** 1. თბილისი; 2. ეტიკეტი; 3. თამარი; 4. ელეგია; 6. ლილვი; 8. ალტაი; 9. კევრი; 10. ანოდი; 13. ნიაგარა; 14. ისარი; 15. აარაუ; 17. „ალი"; 19. სიო; 23. რადიო; 26. ბადრო; 27. იბერია; 28. ბრუმელი; 29. ეკერი; 30. არმია; 31. ბორჯომი; 32. მესტია.

**ჰორიზონტალურად:** 5. ტარიელი; 7. დარიალი; 11. ნეკრასოვი; 12. „ბახტრიონი"; 16. „აიდა"; 18. სუმატრა; 19. სვია; 20. ლენა; 21. როკი; 22. არყი; 24. რემარკა; 25. ორბი; 33. სიმბირსკი; 34. არეომეტრი; 35. ლიბერია; 36. პაროდია.

## ამოცანა

81 იყოფა სამზე, მიიღება 27. ოცდაშვიდი გამოაკლდება 81-ს, მიიღება 54. ორმოცდათოთხმეტი იყოფა სამზე და მიიღება 18. თვრამეტი გამოაკლდება 54-ს, მიიღება 36. ოცდათექვსმეტი იყოფა სამზე და მიიღება 12. თორმეტი გამოაკლდება 36-ს, მიიღება 24. ოცდაოთხი იყოფა სამზე და მიიღება 8.

## გამოცანები

1. სათითე; 2. გემი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# იჩქარე!



# იჩქარე!



# იჩქარე!

სასურველია ჟურნალი გამოიწერო მთელი წლით!



# დროზე გამოიწერე

ჟურნალი

# პიონერი

# 1963

წლისათვის!

გამოდის 12 ნომერი. თორმეტივე ნომრის ღირებულება 2 მანეთი და 40 კაპიკი.

გამომცემლობა „ნაკადული"